საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 24 მაისი. 2019 წ. №103 (8769) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

როდესაც მფატრავი სანდრა რევოლუციურ სცენარზე ბჟუტურებდა, მის უკან არც ერთი ლიდერი არ იდგა

4

ნაცები დაკოდილი ვაცები არიან!



3

გოგა ხაინდრავა: შალვა შავგულიძე დღეს გირგვლიანის მკვლელებსა და მწამებლებს წარმოადგენს

2

ანაკლიის პორტის ირგვლივ ბურუსი იფანტება

5

დარჩენილია 1 შეუთანხმებელი პუნქტი

ლიონი ნიკასია...

იხ. 10 გვ.

გუშინ ნიკოლოზ ბასილაშვილმა ლიონის ტურნირის მეოთხედფინალში კორტის კიდევ ერთი მასპინძელი, საჩოგბურთო ელიტის ყოფილი წევრი ჟოვილფრიდ ცონგა ორ პარტიაში 6:4, 6:4 დაამარცხა და რევანში აიღო მასთან რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთის ამავე ქალაქში განცდილი მარცხისათვის.

ასე რომ, ჩვენი თანამემამულე პირველად აღზევდა საერთაშორისო რეიტინგის მე-16 პოზიციამდე. ვიმედოვნებთ, მისი წინსვლა გაგრძელდება.

ქართველი კადეტები ამერიკაში მიღებულ ცოდნას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებას მოახმარენ

ლევან იზორია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ჯონ ბოლტონს შეხვდა.

შეხვედრა აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის გამოსაშვებ საზეიმო ღონისძიებაზე შედგა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი დაესწრო.

კონექტიკუტის შტატში მდებარე აშშ-ის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი ქართველმა კადეტებმა — კონსტანტინე ყიფიანმა და ალექსანდრე წერეთელმა დაამთავრეს.

კურსის გამოშვების ცერემონიალზე ქართველ კადეტებს დიპლომები ჯონ ბოლტონმა და ლევან იზორიამ გადასცეს. **„მქონდა პატივი, უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველთან ჯონ ბოლტონთან ერთად მიმელოცა კადეტებისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული სამხედრო სასწავლებლის წარმატებით დასრულება. განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მათ შორის ორი ქართველია და ისინი მომავალში აქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას მოახმარენ“,** — განაცხადა ლევან იზორიამ. კადეტები დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში 2015 წელს ჩაირიცხნენ. შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის საფუძველზე იუნკრებმა სწავლა აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამაზე განაგრძეს. სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მათ ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭებათ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი კადეტები სპეციალიზაციის კურსს გაივლიან და თავდაცვის ძალებში ოცმეთაურის თანამდებობაზე დაინიშნებიან. საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე ქართული დელეგაციის წევრებმა პატივი მიაგეს 2015 წელს ავტოავარიაში ტრაგიკულად დაღუპული სოსო მაკარიძისა და ბესარიონ გორჯოლაძის ხსოვნას, რომლებიც ამავე აკადემიაში სწავლობდნენ.

დონალდ ტრამპი დამოუკიდებლობის დღეს გვილოცავს!

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მისალოცი წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ მამუკა ბახტაძეს, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა. მისი თქმით, წერილში საუბარია ამერიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობასა და საერთო ღირებულებებზე.

წერილში ასევე საუბარია საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე და არის გამოხატული მადლიერება იმ წვლილისთვის, რომელიც საქართველოს შეაქვს გლობალური გამოწვევის, კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხედველობაშია ის კონტრიბუცია, რომელიც შეგვაქვს აშშ-თან და ნატოელ პარტნიორებთან ერთად ავღანეთის მისიაში, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მამუკა ბახტაძე:

ჩვენი ამოცანაა, რომ უზრუნველვყოთ ქართული დიასპორის ჩართულობა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში...

მთავრობის მეთაურის თქმით, 27-28 მაისს თბილისში დიასპორის წარმომადგენლების მონაწილეობით ტრადიციული, ყოველწლიური ფორუმი გაიმართება. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მთავრობისთვის დიასპორასთან ურთიერთობა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

„ამავე დროს, ჩვენ ახალი კონსტიტუციით გვევალება, რომ დიასპორასთან ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობები გვქონდეს. ძალიან ბევრი ნიჭიერი, ერთგული, პატრიოტი ადამიანია, რომელიც იძულებული იყო, თავის დროზე დაეტოვებინა საქართველო და ჩვენი ამოცანაა, რომ თითოეული მათგანის ენერგია მოვახმაროთ ჩვენი სამშობლოს მშენებლობას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სპეციალური საგრანტო პროგრამაც დავაწესეთ, ამასთან ერთად ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებმა მოამზადეს თავიანთი ინიციატივები, რომელიც დარწმუნებული ვარ, აისახება მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრებში“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

დაწესდება მერაბ კოსტავას სახელობის სტიპენდია

„26 მაისს 80 წელი უსრულდება ჩვენს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული თავისუფლებასთან ბრძოლა. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და დავაარსებთ მერაბ კოსტავას სახელობის სტიპენდიას“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ. პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ღონისძიებები საქართველოს მასშტაბით ჩატარდება და სხვადასხვა სიახლე და სიურპრიზი იგეგმება.

„რამდენიმე დღეში აღვნიშნავთ ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დღეს – დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ეს არის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ეს არის განსაკუთრებული დღე ჩვენი მოქალაქეებისთვის, შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება, რომ 26 მაისის აღნიშვნა განსაკუთრებით წარმოჩენილი იყოს საქართველოს რეგიონებში და საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება ეს ღონისძიებები. 26 მაისის აღნიშვნის პერიოდში გარკვეული სიურპრიზებიც იქნება და თითოეული ჩვენგანი ნახავს ამას“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

განახლებული ციხე-სოფელი მუცო

ევროკომისიისა და ევროპა ნოსტრას მიერ ციხე-სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროექტისათვის ევროპული მემკვიდრეობის პრიზის მინიჭება ძალიან დიდი **გამარჯვებაა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რამდენიმე წლის წინ სოფელი მუცო განადგურების პირას იყო და შესაძლებელი გახდა ამ უნიკალური საგანძურის შენარჩუნება.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერისთვის. კიდევ ერთხელ ჩვენ ევროპელებს ვაჩვენეთ, რომ საქართველოში არის უნიკალური, ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, სოფელი მუცო. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ყველას, ვინც მუცოს გადარჩენაში თავისი წვლილი შეიტანა“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

კიდევ ერთი ნაბიჯი

საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს როსარია პუგლისის შეხვდა.

შეხვედრაზე, მხარეებმა საქართველოსა და რეგიონში უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის, ჰიბრიდულ საფრთხეებზე ისაუბრეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას საქართველოს უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხში. გიორგი გახარიამ როსარია პუგლისის ახლადშექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კონცეფციისა და მიზნების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ბესელია და ჭიჭინაძე საკუთარ პარტიებს ქმნიან

ეკა ბესელია ახალ პარტიას ქმნის. დეპუტატი ამბობს, რომ მის გვერდით ბევრ ისეთ სახეს ვიხილავთ, რომელსაც ჯერ „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური პროტესტი არ გამოუცხადებია.

„ნებისმიერ ფორმას, რომელიც არის ინსტრუმენტი, ამ მიზნის მისაღწევად, ბუნებრივია, ამას განვიხილავ და შესაბამისად პოლიტიკური პარტიაც, რომელიც აუცილებელი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ქვეყანაში არჩევნების გზით მოხდეს ცვლილებები, ეს არის რეალისტური. საკმაოდ ბევრი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც არასოდეს ყოფილა პოლიტიკაში, მაგრამ თავის პროფესიაში არის წარმატებული და საინტერესო, ასეთი პროფესიული წარმომადგენლობა მე მგონი იქნება ძალიან საინტერესო ერთობის საფუძველი, რაც შეეხება საზოგადოებრივ მოძრაობას „დაიცავი საქართველო“, ამ მოძრაობის პოლიტიკურ მოძრაობად გადაკეთებას არ აპირებენ. არავითარი მესამე ძალა, ეს იქნება ალტერნატიული ძალა, რომელიც შეცვლის ხელისუფლებას,“ – ამბობს ბესელია. შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა მისი პარტიის რიგებში გამოჩნდნენ ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია, ბესელია ამბობს, რომ არაფერია გამორიცხული.

* * *

დავით ჭიჭინაძე ამ დროისათვის „პატრიოტთა ალიანსის“ ფრაქციის რიგებში ირიცხება. ჭიჭინაძე დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა განმარტავს, რომ მასთან ერთად პარტიაში ბოლო წლებში საკრებულოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის „ქართული ოცნების“ რიგებიდან წასული პოლიტიკოსებიც იქნებიან.

ის ბილწთ შეეკრა ზავითა...

გოგა ხაინდრავა – შალვა შავგულიძე დღეს გირგვლიანის მკვლელებსა და მწამებლებს წარმოადგენს

შალვა შავგულიძე დღეს გირგვლიანის მკვლელებსა და მწამებლებს წარმოადგენს, ამიტომ კითხვის ნიშნები აღარ არსებობს, რადგან თავად შავგულიძე აღარ არსებობს ჩემთვის, როგორც პიროვნება, – ამის შესახებ რეჟისორმა **გოგა ხაინდრავამ** ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

* * *

„ყველამ კარგად იცით, რომ ჩემი ძირითადი კონფლიქტი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მოხდა სანდრო გირგვლიანის ამბავზე. პირველივე დღიდან განვაცხადე, რომ ამაზე იქნება დამოკიდებული ამ ქვეყნის ბედი, თუ რამდენად სწორად იქნებოდა წარმართული გამოძიების პროცესი. კარგად მახსოვს ბოკერიასა და უგულავას როლი. ბოკერია არის ნაციზმის იდეოლოგი საქართველოში და ყველა დანაშაულში ლომის წილი მიუძღვის. ეგ იყო „გამპრავებელი“, ეგეც და უგულავაც. მთავრობის წევრი ვიყავი და არცთუ რიგითი, მე მიმყავდა ძირითადი მოლაპარაკებები რუსეთთანაც და მოლაპარაკებები კონფლიქტების საკითხზე. ამიტომ, ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი, მახსოვს ღვინიაშვილის როლი, მახსოვს ბოკერიას როლი, უგულავას როლი, სააკაშვილზე ხომ აღარაფერს ვამბობ“,** – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, დღეს მთაწმინდაზე წარმოდგენილია „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, რადგან „ევროპული საქართველოც“ და „ნაციონალური მოძრაობაც“ ერთნი არიან.

„კარგად ვნახეთ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როგორ ჩაქანდა უგულავა სააკაშვილთან და დიდი სიამტკბილობა გამოაცხადეს. იგივე არის ახლაც. დღეს გირგვლიანის მკვლელებს და მწამებლებს წარმოადგენს შალვა შავგულიძე. მე მაქვს ფოტო, სადაც მარჯვნივ უზის ღვინიაშვილი, მარცხნივ უგულავა. ეს არის შალვა შავგულიძის სახე დღეს. იქიდან სააკაშვილი უჭერს მხარს და საფუძვლად ყოველივე ამას უდევს გიგა ბოკერიას სურვილი, ყველა ხერხით დაბრუნდეს აქტიურ პოლიტიკაში, დაიბრუნოს ხელისუფლება. ჩემთვის შალვა შავგულიძეზე კითხვის ნიშნები აღარ არსებობს, რადგან თავად შავგულიძე აღარ არსებობს ჩემთვის, როგორც პიროვნება“, – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ხაინდრავა ამბობს, რომ შალვა შავგულიძის თქმით, რომელიც სულხან მოლაშვილის ადვოკატი იყო, ვითომ არ იცოდა, რომ სულხან მოლაშვილის წამებაში მონაწილეობა მიიღო გიგა ბოკერიამ.

„სულხან მოლაშვილის მამამ, დედამ, შვილებმა, არაერთხელ გააკეთეს განცხადება ამის თაობაზე. ეს თავად სულხანმაც თქვა, რომ მის წამებას ესწრებოდა გიგა ბოკერია. შალვა შავგულიძემ კი განაცხადა, რომ ეს მისთვის სულხან მოლაშვილს არ უთქვამს. წარმოუდგენელია, რომ სულხან მოლაშვილს, იმ ჯურღმულში და იმ წამებაში, რა დღეშიც ჰ ყავდათ იქ, ერთადერთი ადამიანისთვის – ადვოკატისთვის, რომელთანაც ჰქონდა კონტაქტი, არ ეთქვა ეს ინფორმაცია, მაგრამ კარგია, მამამისს რომ უთხრა და მამამისმა განაცხადა შემდეგ ამის შესახებ, და სულხანი, რომელიც ამის შესახებ ლაპარაკობდა, რომ გიგა ბოკერიამ აწამა, არც ის გაუგია? გიგა ბოკერიას რომ უზის ახლა, მწამებელს, იმ ადამიანის, ვისი ადვოკატიც იყო, ეს არ იცის? ღვინიაშვილს რომ უზის გვერდით ფოტოში, რომელიც იყო პროკურორი გირგვლიანის საქმეში, არ იცის, რომ ღვინიაშვილი გირგვლიანის პროკურორი იყო? სააკაშვილის მხარდაჭერას რომ იღებს, არ იცის, რომ სააკაშვილმა მოკლა გირგვლიანი და მთელმა მისმა ბანდამ, ვინც მის გარშემოა? მთავარი „გამპრავლებლები“ რომ იყვნენ უგულავა და ბოკერია, ეს არ იცის? კარგი, არ იცოდა მაშინ, ახლა ხომ იცის? რატომ ზის მასთან ერთად? ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ფასადია „ნაციონალური მოძრაობის“, ვის რაში აინტერესებს შალვა შავგულიძე? მათ აინტერესებთ შესაძლებლობა, რომ რაც შეიძლება მეტი უხერხულობა, რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეუქმნან ამ ქვეყანას“, – განაცხადა გოგა ხაინდრავამ. მისივე



თქმით, გიგა ბოკერია და მიხეილ საკაშვილი, ვინც არ უნდა ჰყავდეთ წინ წამოწეული, მთაწმინდაზე არჩევნებს ვერ მოიგებენ.

„აგერ თქვენ ხართ და აგერ მე, აგერ ჩატარდება არჩევნები და დამანგრეველი შედეგი იქნება. კი არ მოუგებს, დაანგრევს გიგა ბოკერიას, რადგან გიგა ბოკერია კენჭს იყრის მთაწმინდაზე, ეს მწამებელი და „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგი. რაც შეეხება უგულავას, ის არის მთაწმინდის ქურდი. უგულავამ დაადასტურა და სასამართლოში აღიარა დანაშაული, რომ მილიონობით ლარი მოჰპარა თბილისელებს და უპირველეს ყოვლისა, მთაწმინდელებს“, – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ნაცები დაკოდილი ვაცები არიან!

... დავარძმევ თავის ნამდვილ სახელს 19 მაისს მომხდარ მოვლენებს და, პირველ რიგში, ვიტყვი, თუ რატომ იყო ეს დღე არა არჩევნები, არამედ აქცია, მასშტაბური ღონისძიება.

ამ დღეს ერთმანეთს, ფაქტობრივად, ერთნაირი მსოფლმხედველობის მატარებელი ორი ჯგუფი დაუპირისპირდა. დიახ, სწორედაც რომ ერთნაირი მსოფლმხედველობის მატარებელი ორი ჯგუფი, რადგანაც გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ მოსახლეობა ირჩევდა არა იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის საშინაო, თუ საგარეო კურსი ერთმანეთისგან განსხვავდება, არამედ ჯგუფს, რომლის მიმართაც პირადი სიმპათიები და პირადი მოლოდინები გააჩნია.

ძალიან მწირი იყო იმ პროგრამების წარდგენა, რის გამოც მოქალაქემ ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი უნდა აირჩიოს. მთელი აქცენტი გადატანილი იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ვნებებზე და ყოველგვარი მიკროსკოპის გარეშეც თავისუფლად ჩანდა, რომ ბრძოლა ისევ რევანშისტებსა და ანტირევანშისტებს შორის მიმდინარეობდა.

ყველაზე საინტერესოა ზუგდიდის მაგალითის განხილვა, რადგანაც სწორედ ზუგდიდში ხელისგულზე დაიდო ის რეალობა, რაზეც, ფაქტობრივად, არაფერი თქმულა და რომელიც ზუსტად გვაჩვენებს იმას, თუ რა ხდებოდა სხვა რეგიონებში.

რაც შეეხება მთაწმინდის ნომერ პირველ საარჩევნო ოლქს, სადაც პარლამენტის წევრის არჩევნები გაიმართა, გამოჩნდა მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესების მიმართ. გამქრალი და შეიძლება თამამად ითქვას, იმ გაუფერულებულ-გაცრეცილი პოლიტიკური სივრცის მიმართ, რაც საქართველოში ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოყალიბდა და ელექტორატს ნორმალური არჩევანის გაკეთების საშუალება წაართვა.

ყოველგვარი პოლიტკორექტულობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მთაწმინდაზე არჩევნების მეორე ტურში შალვა შავგულიძე არა ევროპული საქართველოს ძალისხმევამ, არა თბილისში დარჩენილი „ოპოზიციონერების მხარდამჭერთა ხმებმა“, არამედ მურუსიძემ გადაიყვანა.

რაც შეეხება დანარჩენ ოლქებს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 19 მაისი არ იყო არჩევნების დღე, რადგანაც იყო არა ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევა, არამედ ერთი ჯგუფის მხრიდან რევანშის სურვილი, ხოლო მეორე ჯგუფის მხრიდან, ამ რევანშის ჩახშობა.

ნაცების მხრიდან „უტრაკო ყარაჩოელის“ როლის თამაში და „რიჟა ბლატაობა“ – ხმებს დავიცავთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, არჩევნებს არ მოგაპარინებთ, იარაღს ავიღებთ ხელში, ყველა ოჯახში შევალთ დ.ა.შ. და ამ ყველაფრის პიარი „ცრუსთავი-2“-ის საშუალებით, უკვე სასაცილო და გულის ამრევია.

არც დაგასლოკინოთ! მცირე გაფართხალება და საქართველოს მოსახლეობა იმ იარაღს, ერთ ადგილას გაგირჭობთ!

ან ის რა იყო – 5000 „დამკვირვებელიო“, 700 კამერაო, 300 დრონიო...

ამხელა „კამანდით“ რომ მიაწყდით, ზუგდიდს, რა, მერის არჩევნები იყო, თუ ფილმ „ბერლინის დაცემის“ გადაღება?

მიაწყდით და მიაწყდით. მერე რა გააკეთეთ? ისევ ნერვები მოუშალეთ ხალხს, ისევ სასაცილოდ გაიხადეთ საქმე და კუდამოძუებულნი წამობუნძულდით.

აღარ ჭრიდა პანიკური რეპორტაჟები – საარჩევნო უბნებთან კოორდინატორები დგანან სიებით ხელშიო.

ყველამ გაიგო, რომ კანონით ჰქონდათ იმ ხალხს საარჩევნო უბნებთან ყოფნის უფლება და უნდოდათ, „ზაგარს“ მიიღებდნენ, უნდოდათ, თავიანთი მხარდამჭერების სიებს დაიჭერდნენ ხელში ან კამა-სუტრას წაიკითხავდნენ „გამოთქმით“!

ყველამ გაიგო ამ „რ-2“-ის და ნაცების გარდა.

სხვა რამე მოიფიქრეთ, სხვა რამე. ხომ ხედავთ 2016 წლის მერე მსოფლიო წინ წავიდა. ეგე, ილონ მასკიმ კოსმოსში მანქანა გაუშვა და ეს მაჭუტაძე კიდე – იდიომებით ნუ მელაპარაკებიო. „ტოჟე მნე“ აკაკი შანიძე!..

სასაცილო იყო იმ ვიღაც ნინია ცისკარიშვილის ჩანაწერი, სადაც ეს არსება საქართველოს „ადუღებით“ იმუქრებოდა. უბრალოდ დავამატებ, რომ, სავარაუდოდ, ერთი ფრაზაა გამოჩენილი: გრიშა ვაშაძე „კალინ-კამალინის“ ფონზე დაიწყებს ყვირილს – რუსი მოდის, რუსი მოდისო და დანარჩენი გაერთიანებულად ოპოზიციონერები ცეკვა-ცეკვით აიღებენ თბილისს!

აღარ ჭრის ეს სისულელეები. აღარ ჭრის!..

ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ არ არის სანდრა რულოვსი ის პიროვნება, რომელმაც ისეთ მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ერთეულს უნდა უხელმძღვანელოს, როგორიც ზუგდიდია.

არ უნდა უხელმძღვანელოს, თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ქალაქის მეერობა არ არის „ღუღუნა ხმით“ მეგრული სიმღერის შესრულება და გრანტების მოზიდვის შესახებ ეფემერული დაპირებები... ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც თავისი კაბინეტის დამლაგებლის პრობლემებს, ისე, გადაწყვეტილებები მიიღოს ამა თუ იმ ქუჩაზე, თუ ამა თუ იმ სოფელში სანიაღვრე სისტემების მოწყობასთან დაკავშირებით.

უბრალოდ, გეკითხებით – ნეტა სანდრა რულოვსს რომელიმე მისი ჩინოვნიკის მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათის წაკითხვა თუ შეუძლია, რომელიმე მინისტრის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ან თუნდაც პრემიერ-მინისტრის სახელზე, რაიმე საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი წერილის მიწერაზე რომ არ ვილაპარაკო.

ასე რომ, ძალიან ნათლად ჩანდა, თუ რატომ დააყენეს ნაცებმა მისი კანდიდატურა. ეს, პირველ რიგში, რულოვსის მეუღლის მანიაკალური ვნებების დაკმაყოფილების სურვილი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში სიტუაციის არევის მცდელობა.

რაც შეეხება ოცნებას – ისინი ძალიან „საკაიფოდ“ ჩაჯდნენ ამ თამაშში და რბილად რომ ვთქვა, კარგად იყენებენ ხალხის დამოკიდებულებას ნაცების მიმართ.

არადა, დამერწმუნეთ, რომ ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა „ოცნების“ ზოგიერთი ლიდერის მიერ ნასროლი მფრინავი და ვითომდა შიშხათიანი ფრაზები – თქვენ პასუხი უნდა აგოთ იმ ცხრა წელზე! თქვენ არ გაქვთ ამის თქმის უფლება! თქვენ ცდილობთ, დესტაბილიზაცია მოახდინოთ!..

უკაცრავად, მაგრამ ფილმ „დარიკოს“ ერთ-ერთი გმირისა არ იყოს – ჩაფარიც თქვენ გყავთ, ჟანდარმიც და ჯარიც. მე ამ ჯოხით როგორ ვსდიო ტყეში დარიკოსო.

„ოცნებისა“ და ნაცების ასეთი ურთიერთობა ძალიან ჰგავს იმ „ოჯახს“, სადაც ქმარი ცოლს ბოზს ეძახის, ხოლო ცოლი ქმარს იმპოტენციაში სდებს ბრალს.

ასეთ დროს ძალაუფლება ხელში ოჯახის ახალგაზრდა და სრულწლოვანმა წევრმა უნდა აიღოს ხელში და ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს.

ე.წ. „ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა“, ყოველგვარი გარე ძალების ჩარევის გარეშე გვაჩვენეს, რომ საპნის ბუშტებივით არიან და ვინც გაბერავს, მის ახლოს იტრიალებენ.

ახლა არ მითხრათ, რომ ნაცებმა არ იციან, თუ რამდენი წევრი ჰყავთ ამ „პოლიტიკურ სუბიექტებს“, რამდენი ადამიანი უჭერთ მხარს და საერთოდ რას წარმოადგენენ.

ძალიან კარგად იციან, რომ არც მაჭუტაძეს, არც ხარატიშვილს, არც თაკო ჩარკვიანს, სამი კაცის მხარდაჭერაც არა აქვთ (იმ „ჩვენ თვითონზე“ რომ არაფერი ვთქვა). იციან, მაგრამ მათ არა ხარისხი, არამედ რაოდენობა სჭირდებათ. სჭირდებათ მხოლოდ იმისთვის, რომ დასავლეთში გაგზავნილ „დანოსებში“ ჩაწერონ – 12 პოლიტიკური ძალა გვიჭერს მხარსო. მხოლოდ ამისთვის სჭირდებათ და ისიც კარგად იციან, რომ არც ერთი ევროპელი პოლიტიკოსი არ დაიწყებს იმის გარკვევას, თუ რამდენი წევრი ჰყავს ამა თუ იმ „პოლიტიკურ ძალას“ (აი ეს ფრაზა – „პოლიტიკური ძალა“ რომ მესმის, ისტერიკული სიცილი მეწყება).

ამას კი ჩვეულებრივ ენაზე თაღლითობა ჰქვია.

ქართულ „მრავალფერიან“ პოლიტიკურ სივრცეში, მიუხედავად პარტიების რეკორდული რაოდენობისა, მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალაა, ვინც რეალურად ცდილობს პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებას. დიდი გაჭირვებით, მაგრამ ცდილობს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის თავისი მიზნისკენ.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელმაც ამ წლების მანძილზე გვაჩვენა, რომ მათი ბრძოლა როგორც ქუჩაში, ისევე პარლამენტში გამომდინარეობს მხოლოდ ხალხის ინტერესებიდან, დღესაც ერთი შეხედვით, არაპოპულარულ, მაგრამ რამდენიმე წელიწადზე გათვლილ ნაბიჯს დგამს.

სამხედრო მიუმხრობლობის პოზიცია, რაც 15 ივნისს ჩასატარებელი აქციის მთავარი თემაა, აბსოლუტურად სწორი და დროში განვრცობილი საჭირბოროტო საკითხია და, ჩემი აზრით, ის საკმაოდ მალე დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს.

ასევე ძალიან ყურადსაღებია ის ეკონომიკური გათვლები, რაც ბუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების გამონთავისუფლებას და მათი საზოგადოებისთვის საჭირო მიმართულებით წარმართვას ეხება.

ბევრს აღარ გავაგრძელებ, არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ აღფრთოვანდნენ ეს. ე.წ. „პრადვინუტები“ მელიასა და სააკაშვილს შორის დაპირისპირებით. არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რა ნაძირალაა გვარამია, არ ვილაპარაკებ იმ 42%-ზე, რომლებმაც სანდრა რულოვსს დაუჭირეს მხარი.

არ ვილაპარაკებ, რადგანაც ეს ჩვეულებრივი და ძალიან მდარე ამბებია. ამბები, რომლებიც არანაირად არ ემსახურება ქართული სახელმწიფოს უპირველეს მიზანს – გაუმჯობესდეს პოლიტიკური გარემო და ბოლოს და ბოლოს დაიწყოს ნამდვილი ქართული პოლიტიკის შემნა, ხოლო ის მიშამ და მელიამ ერთმანეთს დედა აგინეს, თუ ცოლები, ნამდვილად არ არის ჩვენი გონების შესაფერისი ნიუსი.

მოკლედ რომ ვთქვა, 19 მაისის არჩევნებმა (მოდით, მაინც ასე ვუწოდოთ), დიაგნოზი დასვა. ის სავალალო ვითარება, რაც ქართულ პოლიტიკაშია, ხელისგულზე გამოიტანა. 2020 წლამდე კი საკმარისი დროა, რათა პოლიტიკური მდგომარეობა გამოსწორდეს. ეს კი, პირველ რიგში, ხალხზე, საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

როგორც დავიჭერთ თავს, როგორც ვაჩვენებთ, რომ იაფფასიანი ტრიუკების აღარ გვჯერა, ისე გაგრძელდება პროცესები. პროცესები, რომლებიც პირდაპირ მოქმედებს ეკონომიკაზეც, განათლებაზეც და საგარეო ურთიერთობებზეც. ასე რომ, ჯერი არა პოლიტიკოსებზე, არამედ ჩვენზეა...

გია გაბრიჭიძე

ზუგდიდის არჩევნების წარმატება და გახარიას ფაქტორი

ექსპერტები ზუგდიდის არჩევნებს აფასებენ და ამ კონტექსტში გიორგი გახარიას ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი მოსაზრებით გიორგი გახარიამ ზუგდიდში დიდი გავლენა იქონია ოცნების გამარჯვებასა და არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარებაზე.

თორნიკე შარაშენიძის აზრით, არჩევნების დღის მშვიდ ვითარებაში ჩატარება, გიორგი გახარიას დამსახურებაა, თუმცა დაამატა, რომ ოპოზიციას, ვითარების ესკალაციის განზრახვა არ გააჩნდა; შარაშენიძე აცხადებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს, იქნება თუ არა სამთავრობო ცვლილებები, რადგან „მთავარ ფიგურას გახარია წარმოადგენს“, – აცხადებს ექსპერტი.

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე კი მიიჩნევს, რომ ზუგდიდში რეალურად გახარიამ გაიმარჯვა არჩევნებში – „ზუგდიდში, სადაც რეალურად გახარია-სააკაშვილის შერკინებას ვუყურებდით, გახარიამ დაამარცხა სააკაშვილი და თან პირველივე ტურში, – წერს ექსპერტი. აღსანიშნავია, რომ გიორგი გახარია არჩევნების დღეს ზუგდიდში იმყოფებოდა, სადაც მან ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ მეგრელებს სტუმარ-მასპინძლობას ვერ გვასწავლის ვერავინ, ამიტომ, ყველას გავუმასპინძლდებით, რა თქმა უნდა, ასევე მეგობრებად დავშორდებით ერთმანეთს, უბრალოდ, ის ხალხი წავა თავისთან სახლში და ზუგდიდელები დარჩებიან თავიანთ ახალ მერთან ერთად ზუგდიდში“, – გიორგი გახარია.

როდესაც მფატრავი სანდრა რევოლუციურ სცენარზე ბჟუტურებდა, მის უკან არც ერთი ლიდერი არ იდგა

ნომრის სტუმარია ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე.

— „ქართულ ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ სამეგრელოში „ნაციონალთა“ თარეში დასრულებულია. შეგვიძლია გავიმეოროთ ეს სიტყვები და ჩავთვალოთ, რომ სამეგრელო „ნაციონალებისგან“ თავისუფლდება?

— ამის თქმა უფრო ემოციურ დონეზეც შეიძლება, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც ზუგდიდში საკმაოდ აქტიური იყო, არსად გამქრალა. ეს ორგანიზაცია იქ არის და სანდრა რულოვსის მიერ მიღებული ხმების 42%-იც რეალურია. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზუგდიდის აქტიობა სულ რაღაც 35% იყო. ახლა 35%-ის 42% რომ ვიანგარიშოთ, არც თუ ისე შთამბეჭდავი ციფრი გამოდის, მაგრამ ამ ციფრებს თავი დავანებოთ, რეალობაზე ვისაუბროთ. რეალობა ისაა, რომ ჯერჯერობით „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ერთეული, არსებობს, სამეგრელოში მას სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო მყარი პოზიციები აქვს. თუ რატომ ხდება ასე, ამ თემაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ასე რომ, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს იმაზე ზრუნვა სამომავლოდ, რომ ეს რეგიონი დაიბრუნოს და იქ საკუთარი გავლენა და პოპულარობა გაზარდოს.

ეს გამარჯვება არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს, რადგან საპარლამენტო არჩევნებისთვის თვისობრივად უკვე სხვა სიტუაცია იქნება. ასე რომ, თქვენი გაზეთის მეშვეობით „ქართულ ოცნებას“ ვურჩევდი, მაინცდამაინც თვითკმაყოფილებას ნუ მიეცემიან და ზედმეტ ეიფორიაში ნუ ჩაიგდებენ საკუთარ თავს.

— თქვენ ამბობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ სამეგრელოს დაბრუნება მოუწევს, მაგრამ სააკაშვილს რაიმე განსაკუთრებული არ გაუკეთებია სამეგრელოსთვის. რატომ შეიძლება გაჩნდეს მის მიმართ ნოსტალგია სამეგრელოში? ეს იმით აიხსნება, რომ სააკაშვილმა შევარდნაძე გაისტუმრა, რომელიც, თავის მხრივ,მეგრელებისთვის სათაყვანებელ ზვიად გამსახურდიას დევნიდა?

— კი ბატონო, არის ასეთი ახსნაც, მაგრამ, როდესაც ასეთ ახსნას სთავაზობენ ხალხს, ეს რაღაცით უნდა დაასაბუთონ, თუნდაც სოციოლოგიური გამოკითხვით. ზოგადად, სამეგრელოში კუთხურობის ელემენტი ძალიან განვითარებულია, ზვიად გამსახურდიას ფაქტორიც საკმაოდ მძლავრად მუშაობს, ამიტომაც მანიპულირებდა სანდრა რულოვსი სწორედ გამსახურდიას სახელით. არის ეს ფაქტორი, მაგრამ ძალიან უგუნური უნდა იყოს ადამიანი, რომ სააკაშვილის ასოცირება მოახდინოს ზვიად გამსახურდიასთან. სააკაშვილი ტიპური, სულით ხორცამდე კოსმოპოლიტია და როგორ შეიძლება ის შევადაროთ თავიდან ბოლომდე ეროვნული ცნობიერებით გაჟღენთილ ზვიად გამსახურდიას?! გამსახურდიასა და სააკაშვილს შორის პარალელების გავლების არანაირი საფუძველი პირადად ჩემთვის არ არსებობს. ამას არც ობიექტური რეალობა ადასტურებს და არც ამ ორივე პიროვნების მიერ განვლილი გზა.

— 19 მაისის არჩევნების დღეს წარმოდგენილი აუდიოჩანაწერი ადასტურებს, რომ მღელვარების ტალღა სამეგრელოდან უნდა გადასულიყო აჭარაში, შემდეგ უნდა მოსდებოდა ქუთაისს, ზესტაფონს, ხონს და ყველაფერი ადუღებულიყო. ახლაც რევოლუციურ სცენარზე ლაპარაკობს „ნაციონალთა“ მერობის ყოფილი კანდიდატი. რამდენად რეალისტურია ეს სცენარი?

— არა მგონია, მაინცდამაინც რეალისტური იყოს. როგორც ხედავთ, სიტუაციის ადუღება მათ არ გამოუვიდათ. სიტუაციის ადუღებას და რევოლუციური სცენარის კულტივაციას ლიდერი სჭირდება. რამდენად გამოდგება ქართველებისთვის ლიდერად სანდრა რულოვსი, შეიძლება, სამეგრელოში ის ვიღაცებს მოსწონთ, რადგან მეგრული ისწავლა, ან მეგრულად მღერის, მაგრამ ის აბსოლუტურად ხელოვნურად თამაშობს, თითქოს უყვარს საქართველო, მის განცხადებებში ძალიან იგრძნობა სიყალბე. არა მგონია, სანდრა რულოვსი გახდეს რევოლუციური მოძრაობის ბაირახტარი. გარდა ამისა, სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, რომ ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის, ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმში მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებსაც, რევოლუცია არ მიაჩნიათ გამოსავლად.

ხელისუფლებამ ფატალური შეცდომები უნდა დაუშვას, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ხელისუფლება რევოლუციის მეშვეობით გაუშვას. არ არის საზოგადოებაში ასეთი განწყობა. მით უმეტეს, ისეთ პოლიტიკურ ძალას, როგორიცაა „ნაციონალური მოძრაობა“ არ გამოუვა სიტუაციის არევა. ხალხმა უკვე გაიგო მათი მმართველობის სტილი, ძალიან ბევრმა საკუთარ ტყავზე იწვნია მმართველობის ეს სტილი. სიტუაციის ადუღება შეუძლია სრულიად ახალ პოლიტიკურ ლიდერს, ახალ ძალას, რომელიც ჯერ არ არის გასვრილი პოლიტიკურ ბატალიებში და ხალხის ნდობა აქვს, მაგრამ, ჯერჯერობით, ასეთი ძალა ასპარეზზე აქტიურად არ არის გამოსული.

— მთაწმინდის ოლქზეც მინდა გკითხოთ, სადაც მესამე ადგილზე ალეკო ელისაშვილის კანდიდატურა — ლევან იოსელიანი გავიდა 1000 ხმით. ეს კარგი სასტარტო შედეგი ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან პოლიტიკაში სხვა მოთამაშეებიც შემოვლენ?

— მე პირადად არ ვიცნობ ამ პიროვნებას. ვიცი, ის ელისაშვილის მხარდაჭერით სარგებლობდა და ჩემი ოფისის სიახლოვეს ელისაშვილთან ერთად არის გამოსახული პლაკატებზე. მისი ცნობადობა ხალხში განპირობებული იყო ელისაშვილის ფაქტორით, ელისაშვილი რომ მოეცილებინათ პლაკატიდან, ხალხისთვის ეს პიროვნება აბსოლუტურად უცნობი იქნებოდა. ამიტომაც ვვარაუდობ, რომ მან ეს 1000 ხმა აიღო არა თვითონ, არამედ ძირითადად ელისაშვილის ჯერ კიდევ შემორჩენილი ავტორიტეტის დახმარებით.

— როგორი იქნება შალვა შავგულიძის სამომავლო პერსპექტივა? მისი დაზავება „ევროპულ საქართველოსთან“, რამაც მას განსაკუთრებული პოპულარობა არ მოუტანა, კვლავაც გაგრძელდება?

— ზავი, ცოტა არ იყოს, არც თუ ისე ზუსტად ასახავს ამ ალიანსის შინაარსს, რაც დაიდო „ევროპულ საქართველოსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის. უბრალოდ, მოხდა ინტერესთა დამთხვევა, რადგან „თავისუფალ დემოკრატებს“, ფაქტობრივად, პარტია ჰქონდათ გადასარჩენი, რადგან მათ ყველა მხრიდან მოეჭრათ რესურსები. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობდა დეგრადაცია, ყველა ღირებულმა და ცნობადმა ლიდერმა პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა, იქ დარჩა მხოლოდ ის ხალხი, რომლებიც საზოგადოებაში პოპულარობით არ სარგებლობდნენ. შალვა შავგულიძეს, რომელსაც არც თუ ისე დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში, პოპულარობა მოუტანა სწორედ „ქართული ოცნების“ მხრიდან გაუთვლელმა პიარსვლებმა, რომლებმაც მის მიმართ მიაპყრეს საზოგადოების ყურადღება და ერთგვარი „შერისხულის“ და „მსხვერპლის“ მანტია მოარგეს.

მოგეხსენებათ, ქართველ საზოგადოებაში სიმპათიები მის მხარესაა, ვინც დაჩაგრულის როლშია. მე ვფიქრობ, აქ უფრო სხვა კომბინაცია თამაშდება, რადგან შავგულიძემ არაერთხელ განაცხადა, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი „ევროპულ საქართველოსთან“ მისი გაერთიანებისა იყო პროდასავლური ძალების კონსოლიდაციის სურვილი რუსეთიდან მომავალი საფრთხეების წინაშე. ვფიქრობ, ხომ არ არის „ევროპულ საქართველოსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის შექმნილი ალიანსი პირველი ნაბიჯი, ან პირველი ნიადაგის მოსინჯვა იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს ახალი პოლიტიკური გაერთიანება, ახალი ალიანსი, რომელიც დასავლეთს შესთავაზებს საკუთარ თავს და მას ექნება ისეთი პოლიტიკური დისკურსი, რომ აი, ჩვენ განსხვავებული პოლიტიკური წარსულის და განსხვავებული ორიენტაციის მქონე ძალებმა მოვახერხეთ ერთმანეთის მიმართ წყენის და კონფრონტაციის დავიწყება, გადავდგით ნაბიჯი შერიგებისკენ, საერთო ღირებულებების ირგვლივ გავერთიანდით და ვაყალიბებთ ახალ ძალას. ეს არის სწორედ ის, რასაც დასავლეთი ითხოვს ჩვენგან. ყველა, ვინც კი ჩამოდის უცხოეთიდან საქართველოში და აფასებს ჩვენს სიტუაციას, ამბობს, რომ თქვენთან უკიდურესად პოლარიზებული გარემოა, რაც ვნებს დემოკრატიულ პროცესებს. შავგულიძემაც და „ევროპულმა საქართველომაც“ კარგად იციან დასავლეთში არსებული განწყობები და შესაძლოა, შეეცადონ, ამ განწყობებზე ითამაშონ, საკუთარი თავი შესთავაზონ დასავლეთს, როგორც ალტერნატიული ძალა.

— დღეს ბევრს საუბრობენ „ნაციონალების“ შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე. სადამდე შეიძლება გაღრმავდეს ეს პროცესი და შეიძლებოდა თუ არა ამ დაპირისპირების განჭვრეტა არჩევნებამდელ პერიოდშიც?

— არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ შიგნით რომ შიდა გარჩევები დაიწყებოდა, ეს ჩემთვის ისედაც ნათელი იყო. ასეც მოხდა, რადგან სანდრა რულოვსის წარდგენიდან დაიწყო ეს უთანხმოებები, მით უმეტეს, იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რაც გააკეთა ჯერ სააკაშვილმა, შემდეგ სანდრა რულოვსმა, ფაქტობრივად, ეს იყო პროცესის რადიკალიზაციისკენ წაყვანა. მიაქციეთ ყურადღება, როდესაც სანდრა რულოვსი რევოლუციურ სცენარზე განცხადებას აკეთებდა, მის უკან არ იდგა „ნაცმოძრაობისა“ და „გაერთიანებული ოპოზიციის“ არც ერთი ლიდერი. თუ არ ვცდები, ერთი ბარამიძე გამოჩნდა, ისიც ეპიზოდურად. როდესაც ასეთი სტრატეგიული ხასიათის განცხადებები კეთდება, ეს უნდა მოხდეს მთელი პარტიის ხელმძღვანელობის მიერ. აქ უნდა ყოფილიყო მთელი გაერთიანებული ოპოზიციის ხელმძღვანელობა და ეს უნდა შეთანხმებულიყო ყველასთან. ახლა კი გამოდის, რომ ეს იყო შეუთანხმებელი განცხადება და ახლა ოპოზიციის ლიდერები ცდილობენ, სანდრა რულოვსს ნამუსი მოსწმინდონ და თქვან, დიახ, ჩვენც ასე ვფიქრობთო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სააკაშვილი რჩება პარტიის ფაქტობრივ ლიდერად და გრიგოლ ვაშაძე არის მხოლოდ ნომინალური ფიგურა.

— „ნაცმოძრაობაში“ ზოგიერთები იმთავითვე თვლიდნენ, რომ კანდიდატად სანდრას წამოყენება არასწორი იყო, თუმცა დღეს უკვე ისმის საპირისპირო მოსაზრებები, რომ არა სანდრა, ზუგდიდში სხვა კანდიდატი ამდენ ხმას ვერ მიიღებდა.

— არ ვიცი, სანდრას წამოყენება კანდიდატად სწორი იყო თუ არასწორი, მაგრამ მიმაჩნია, რომელიმე ადგილობრივი პარტიული ლიდერი რომ დაეყენებინათ კანდიდატად, ვისაც კავშირი აქვს სამეგრელოსთან, „ნაციონალური მოძრაობა“ გაცილებით უფრო მომგებიან პოზიციაში იქნებოდა. სანდრა რულოვსმა რამდენადაც კარგად არ უნდა ილაპარაკოს მეგრულად, ის მაინც ვერ გახდება თავისიანი და იქაური. ვინც იცის სამეგრელოს და, ზოგადად, ჩვენი ქართული კუთხეების ადათ-წესები და ტრადიციები, ალბათ, დამეთანხმება ამაში.

— დაბოლოს, რა აჩვენა ლადო კახაძის შედეგმა? დაიღალნენ „მთაწმინდელები“ პოლიტიკით?

— ლადო კახაძის შედეგის პირველი მიზეზი იყო ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა. მეორე, მისი ხმები ძირითადად მოპოვებული იყო „ქართული ოცნების“ ადმინისტრაციული რესურსის დახმარების შედეგად, თორემ როდესაც ბატონი კახაძე პაატა ბურჭულაძის პარტიის სახელით იყრიდა კენჭს, მხოლოდ 600 ხმა აიღო. ის პოპულარული, ჭკვიანი კაცია, რა თქმა უნდა, ლადო კახაძე უყვართ თბილისში, ის ცნობადი ფიგურაა, მას წარდგენა ზედმეტად არ სჭირდება, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსი, აბა, რა მოგახსენოთ. მით უმეტეს, აბსოლუტურად უაზრო შავმა პიარმა, რაც ააორეს შავგულიძის მიმართ, მგონი, პირიქით იმუშავა შავგულიძის სასარგებლოდ.

— მეორე ტურში რა შედეგს ელით?

— მეორე ტურში, ალბათ, მოხდება ძალების მობილიზება და, სავარაუდოდ, მმართველი პარტია გაამარჯვებინებს კახაძეს.

ესაუბრა
მარიამ ლოლაძე

ჩერგოლეიშვილი მიშას თითს უქნევს

ჟურნალისტი **თამარ ჩერგოლეიშვილი ფეისბუქის პირად გვერდზე პოსტს აქვეყნებს და მიხეილ სააკაშვილს მიმართავს: „სააკაშვილი თუ სიჩუმით გამოხატავს მხარდაჭერას და ტროლებს ლუკმებს არ მისცემს, ძალიან, ძალიან დაგვავალებს. თუ ბიძინას დამარცხება და შავგულიძის მხარდაჭერა გსურთ, ბატონო პრეზიდენტო — ჩუმად ბრძანდებოდეთ. ამას გთხოვდით 2016 წელს, ამას გთხოვდით 2018 წელს. ამას გთხოვთ ახლა — 2019 წელს. მაგრამ სად შეგიძლიათ თავის კონტროლი, ან ვის სჯერა, რომ შავგულიძის გამარჯვება გსურთ.**

P. S. როცა თქვენი გამარჯვება გვსურდა 2008 წელს, ტოქსიკურად მიჩნეული ფიგურები (კახა ბენდუქიძე, გიგა ბოკერია) გაჩუმდნენ.

მათგან მაინც ისწავლეთ!“ — წერს თამარ ჩერგოლეიშვილი

მიხეილ სააკაშვილმა შალვა შავგულიძეს მთაწმინდის არჩევნების მეორე ტურში მხარდაჭერა გამოუცხადა.

ანაკლიის პორტის ირგვლივ ბურუსი იფანტება

ანაკლიის პორტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შეთანხმება მიღწეულია და თითქოს ისე ჩანს, რომ პროექტის განხორციელება არ უნდა შეფერხდეს. 8 პუნქტიდან ინვესტორები და მთავრობა 7-ზე შეჯერდნენ, მაგრამ დარჩენილია ერთი ყველაზე საყურადღებო ნიუანსი, რომელზეც შეთანხმება ვერ ხერხდება.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დირექტორი **ლევან ახვლედიანი** აცხადებს, რომ პორტში ტვირთბრუნვის დაზღვევის საკითხში, შესაძლოა, ევროკავშირის ერთ-ერთი ფონდი ჩაერთოს. რაც შეეხება მთავრობასთან მოლაპარაკებას, რვა პუნქტიანი მოთხოვნიდან მხარეებს შორის შვიდზე შეთანხმება მიღწეულია. პარალელურად მსჯელობა და მუშაობა დაიწყება ალტერნატიულ გეგმაზე, რომლის მეშვეობითაც კომერციული რისკების დაზღვევის საკითხი უნდა მოგვარდეს.

„შედეგიანი შეხვედრები გვქონდა, პრაქტიკულად 7 საკითხზე პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. იურისტებს დამატებით მუშაობა მოუწევთ, რომ ეს შეთანხმებები ქაღალდზე გადაიტანონ. რა თქმა უნდა, ნიუანსებთან დაკავშირებით სამუშაო პროცესი გაგრძელდება. დარჩა ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ტვირთბრუნვის რისკის დაზღვევას ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება ჯერ არ მომხდარა, მაგრამ არის ალტერნატიული ვერსიები, მათ შორის საუბარია ევროკავშირის ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის ჩართვაზე. ვიმუშავებთ ამ ალტერნატიულ ვარიანტზე და უახლოეს მომავალში შედგება დამატებითი განხილვები“, — განაცხადა ახვლედიანმა.

ჯერ ფინანსთა სამინისტროში, შემდეგ კი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მთავრობას, კონსორციუმსა და დონორ საფინანსო ინსტიტუტებს შორის სამუშაო შეხვედრები იმართებოდა. **მაია ცქიტიშვილმა** არაერთხელ გაიმეორა, რომ სახელმწიფო საკუთარ თავზე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის კომერციული რისკების დაზღვევას არ აიღებს. საუბარი არის იმაზე, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობის პროცესში ჩართული თითოეული მხარე ცდილობს, გამონახოს ის შესაძლებლობა და ის რესურსი, რომელიც პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა.

„როდესაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს კომერციული რისკების დაზღვევა, უნდა გვახსოვდეს, რომ ბანკებმა სესხი უშუალოდ ინვესტორს უნდა მისცენ, ანუ, პირველ რიგში, აქ საუბარი ბანკებსა და ინვესტორებს შორის არის. კომერციული რისკების დაზღვევას ინვესტორს სთხოვენ და ასეც უნდა იყოს, თუმცა ყველაზე კომფორტული აღმოჩნდა, რომ მათ შორის გარანტიების დასაზღვევად მთავრობისთვის მიემართათ, მაგრამ სახელმწიფო ინვესტორების კომერციული რისკების დამზღვევი ვერ იქნება“, — განაცხადა ცქიტიშვილმა.

იგივე პოზიციას იზიარებს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანიც**. მისი თქმით, კრედიტორები სწორედ იმიტომ ითხოვენ კომერციული რისკების დაზღვევას, რომ ისინი არსებულ ბიზნეს-მოდელში თავს სრულად კომფორტულად არ გრძნობენ.

„ამ მხრივ ჩვენ წინ წავედით და ბევრ სხვადასხვა ტიპის რისკს ვუზღვევთ და ვუბათილებთ, თუმცა ტვირთების რაოდენობა იქნება თუ არა ამდენი, და ამ დერეფანზე მოვა თუ არა ეს ტვირთბრუნვა, ჩვენ აქ თავს ვიკავებთ. პროექტი იმიტომ არის კერძო ინიციატივა, რომ ეს რისკები თანაბრად გადანაწილდეს. ჩვენ იმაზე მეტ რისკს ვერ ავიღებთ, რაც სახელმწიფომ უნდა აიღოს.

ჩვენი ვალდებულებაა, რომ უნდა გავიყვანოთ რკინიგზა და საავტომობილო გზა, ასევე მიწების გამოსყიდვაში უნდა დავეხმაროთ კონსორციუმს. ამისთვის 100 მლნ ლარამდე დაფინანსება უნდა გამოვყოთ და ეს ყველაფერი ძალაშია, მაგრამ თუ ამ პროექტის მნიშვნელოვანი რისკის გადმოტანა სახელმწიფოზე მოხდა, მაშინ სად არის კომერციული კომპონენტი? სად არის კერძო ინიციატივა? ეს მიდგომას მთლიანად ცვლის.

ამიტომ ამ ეტაპზე ვთქვით, რომ ბევრ რამეში დავეხმარებით, თუმცა ძირეულ, ფუნდამენტურ ცვლილებას ჩვენ არ მივესალმებით“, — განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ საუბრისას ფინანსთა მინისტრმა.

კომენტარი გააკეთა „ანაკლია სითის“ გენერალურმა დირექტორმა **ქეთი ბოჭორიშვილმაც** და აღნიშნა, რომ პორტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, გზისა და რკინიგზის მშენებლობაც დროულად განხორციელდეს.

„ძალიან მარტივად, ჩვენ შეიძლება ვიყოთ ან არ ვიყოთ ტრანზიტული ქვეყანა, ეს დამოკიდებულია იმაზე, განვითარდება თუ არა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აზიის განვითარების ბანკმა დააასახელა ეს პროექტი მნიშვნელოვნად არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რეგიონისთვის.

დღემდე კონსორციუმმა 70 მლნ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა. დამატებითი სამუშაოები დაგვჭირდა იმისთვის, რომ ფუნდამენტური სამუშაოები დავიწყოთ. ჩვენ ჩავატარეთ რამდენიმე ტენდერი და უახლოეს მომავალში დავასახელებთ გენერალურ კონტრაქტორ კომპანიასაც, რომელიც პორტის ჩაბარებაზე იქნება პასუხისმგებელი. როგორც იყო დაგეგმილი, ისე მიმდინარეობს და ამ მხრივ შეფერხებები არ არსებობს.

დღევანდელი განრიგიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 2021 წლისთვის პორტი მიიღებს დიდ გემებს და გახდება ფუნქციონირებადი. გადამწყვეტი ფაქტორია რკინიგზის და გზის მიყვანა. თუ ისინიც თავის ვადებში არ განხორციელდება, პორტის მუშაობას აზრი ეკარგება“, — აღნიშნა ბოჭორიშვილმა.

ეკა ბაძრაძე

2008 წელს საქართველო და უკრაინა ნატოში გაწევრებისთვის მზად არ იყვნენ

საქართველოს ნატოში გაწევრიანების „საგზაო რუკა“ 2008 წელს რომ მიეღო, რუსეთი მაინც იმავეს გააკეთებდა, — ამის შესახებ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა დევიდ ჰობსმა სააგენტო „დელფის“ ლიეტუვურ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა. დევიდ ჰობსის თქმით, 2008 წელს საქართველო და უკრაინა ნატოში გაწევრიანებისთვის მზად არ იყვნენ.

„არ ვფიქრობ, რომ ნატომ 2008 წელს შეცდომა დაუშვა. ეს იყო კომპრომისი. იმ დროს, არც ერთი ქვეყანა გაწევრიანებისთვის მზად არ იყო — ეს ფაქტია. საქართველოს ახლა აქვს არგუმენტი: ქვეყანას ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა რომ მიეღო, ეს ხელს შეუშლიდა რუსეთის ქმედებას აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. მე დარწმუნებული ვარ, რომ კრემლის იურისტები შესანიშნავად გააცნობიერებდნენ განსხვავებას გაწევრიანების სამოქმედო გეგმას და სრულფასოვან წევრობას შორის. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ანალოგიურად იმოქმედებდა, საქართველოს „საგზაო რუკა“ რომ მიეღო“, — აღნიშნა ჰობსმა.

საქართველოს პერსპექტივებთან დაკავშირებით ჟურნალისტმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ჰკითხა, აქვს თუ არა რუსეთს საქართველოსა და უკრაინასთან ურთიერთობებში ნატო-ს გადაწყვეტილებაზე არაფორმალური ვეტოს უფლება? დევიდ ჰობსმა თქვა, რომ მსგავსი კონფლიქტების შექმნით და მათ გადაწყვეტაზე ხელის შეშლით, რუსეთი გარკვეულწილად ვეტოს უფლებას იღებს.

„რუსეთის სტრატეგია სწორედ ასეთია. ნატოში გასაწევრიანებლად ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს კონფლიქტი საზღვრებთან და ტერიტორიული დავა მეზობლებთან. მსგავსი კონფლიქტების შექმნით და დარეგულირებაზე ხელის შეშლით, გარკვეულწილად იღებთ ვეტოს უფლებას რომელიმე ქვეყნის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

2008 წლამდე არ შემეძლო წინასწარ გამომეცნო, რომ რუსეთი სამხედრო ძალას გამოიყენებდა და მოკავშირეებს მსგავსი დილემის წინაშე დააყენებდა. ახლა ბევრი ამბობს: „ჩვენ თქვენ გაფრთხილებდით!“, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი პრობლემების მოგვარება დიპლომატიური გზითაა შესაძლებელი. ნატოს სამეზობლოში ცხოვრება ძალიან ხელსაყრელია. მე ალიანსს ყოველთვის კეთილსინდისიერ მეზობელს ვადარებ: ღობე წესრიგში აქვს, გაზონებს დროულად ჭრის, რგავს ყვავილებს, იცავს საგზაო მოძრაობის წესებს და საღამოს ათ საათზე იძინებს. თუ შენ მსგავსი მეზობელი გყავს, შეგიძლია მშვიდად იძინო“, — განაცხადა დევიდ ჰობსმა.

ევროპარლამენტის არჩევნები დაიწყო

კენჭისყრა ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოში ოთხი დღე გაგრძელდება. 751 მანდატისთვის 20-ზე მეტი მსხვილი პოლიტიკური პარტია და მოძრაობა იბრძოლებს. სპეციალისტების პროგნოზით, ყველაზე მეტ მანდატს გაერთიანება „ევროპული სახალხო პარტია“ მოიპოვებს, რომელიც პროევროპული კონსერვატორებისა და ქრისტიან-დემოკრატებისგან შედგება, თუმცა უმრავლესობის შექმნას ვერ შეძლებს. ვარაუდობენ, რომ ლიბერალ-დემოკრატების ალიანსი წარმატებას მიაღწევს და მანდატების რაოდენობას გაზრდის.

წინასწარ გამოკითხვებში ჩანს, რომ ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოში ევროსკეპტიკოსი პარტიების დეპუტატების რაოდენობა გაიზრდება.

ამ არჩევნებში დიდი ბრიტანეთიც იღებს მონაწილეობას, რომელმაც ევროკავშირიდან გასვლის პროცესის დასრულება ვერ შეძლო.

ევროკავშირში სულ 326 მილიონი ამომრჩეველია დარეგისტრირებული. არჩევნების შედეგები 26 მაისს, საღამოს გახდება ცნობილი.

ზელენსკიმ უკრაინის პარლამენტი ოფიციალურად დაითხოვა

უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განკარგულება პარლამენტის დათხოვნის და რიგგარეშე არჩევნების 21 ივლისს ჩატარების შესახებ ძალაში შევიდა.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ორი დღის წინათ გამართულ ინაუგურაციაზე დაიფიცა, რომ უკრაინის პარლამენტს დაშლიდა. მისი გადაწყვეტილება ოფიციალურად 23 მაისს შევიდა ძალაში. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის განმარტებით, პრეზიდენტის განკარგულების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს საარჩევნო კამპანია იწყება.

22 მაისს უკრაინის პარლამენტმა არ დაამტკიცა ახალი პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას და საარჩევნო ბარიერის შემცირებას 5-დან 3%-მდე. ზელენსკის წინადადების მისაღებად საჭირო იყო 226 დეპუტატის ხმა, თუმცა, მხოლოდ 92-ის მხარდაჭერა მოიპოვა.

21 ივლისს უკრაინაში რიგგარეშე არჩევნები კვლავ შერეული, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით ჩატარდება. პარტიული სიებით პარტიებს კვლავ 5%-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ.

ვიდრე ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს...

ცოტა ხნის წინათ, დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ 93-ე დაბადების დღე იზეიმა. მისი უდიდებულესობა მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული სახელმწიფოს მეთაური ქალბატონია, რომელიც ბრიტანეთს აგერ უკვე 67 წელია, მართავს.

ელისაბედ II 1926 წლის 21 აპრილს დაიბადა, ტახტზე კი 1953 წელს ავიდა, მას ოთხი შვილი და რვა შვილიშვილი ჰყავს. დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავად ბუკინგემის სასახლეში ასევე მიწვეულნი იყვნენ მისი შვილთაშვილები და მრავალრიცხოვანი ნათესაობა. თითოეულმა სტუმარმა დედოფალი შამპანურით ადღეგრძელა, რის შემდეგ დარბაზში უზარმაზარი შოკოლადის ტორტი შემოიტანეს. სხვათა შორის, შამპანურით ბუკინგემის სასახლის მომსახურე მთელ პერსონალსაც გაუმასპინძლდნენ. მათ შორის კარის პოეტსაც, რომელიც ყოველ 21 აპრილს დედოფალს ახალ-ახალ ლექსებს უძღვნის.

ელისაბედ II-ს დიდად უყვარს მანქანის ტარება, თანაც იგი ერთადერთია ბრიტანეთში, ვისთვისაც მართვის მოწმობა სავალდებულო არ არის. დედოფალს დიდად უყვარს სწრაფი სიარული, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე — პრინცი ფილიპი წლეულს იანვარში სხვა მანქანას დაეჯახა და განაცხადა, რომ საჭეს აღარასდროს მიუჯდება, დედოფალმა ქმარს სოლიდარობა გამოუცხადა და მანქანის მართვაზე უარი თქვა. მას შემდეგ, ხშირად სხვა საყვარელი ტრანსპორტით — სამეფო ეტლით გადაადგილდება.

ელისაბედ II-მ დიდად გაიხარა კიდევ ერთი შვილიშვილის შეძენით — აპრილის მიწურულს უფლისწულ ჰარისა და მის მეუღლეს მეგან მარკლს ბიჭუნა ეყოლათ. სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას შვილი ვინძორში სასახლე ფროგმორში დაიბადა, სადაც წყვილი კენსინგტონის სასახლიდან რემონტის შემდეგ გადავიდა, რომელიც 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

ჰარის უფროსმა ძმამ, უფლისწულ უილიამმა, რომელსაც ცოლად ქეიტ მიდლტონი ჰყავს, რამდენიმე თვის წინათ ბრიტანეთის სპეცსამსახურების სამკვირიანი მომზადება გაიარა. ბოლო ხანებში კი მისი ერთგული ქმრის იმიჯი რამდენადმე შეილახა — ტაბლოიდებმა დიდი ხალისით აიტაცეს ჭორი ცოლის დაქალთან, მარკიზა როუზ ჰანბერისთან მისი რომანის შესახებ, თუმცა ბევრს ამ ამბის არ სჯერა. არადა, ჰერცოგი და ჰერცოგინია კემბრიჯელები ხალხს ძალიან უყვარს, ქეიტი კი დედოფლის უსაყვარლესი რძალია, რომელთანაც ხშირად საათობით ატარებს დროს.

ბოლო დროს, ელისაბედ II საკმაოდ გახდა და მხრებში მოიხარა, თუმცა თავი მაინც ყოჩაღად უჭირავს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დრო და მოდა მას არანაირად არ ეხება: პალტო და ქუდი მუდამ ერთ ფერშია, ფეხსაცმელს საშუალო სიმაღლის ქუსლი აქვს, რომელსაც ვიდრე ჩაიცმევდეს მანამდე საგანგებო მსახური ატარებს — ორი-სამი დღის განმავლობაში, ხელში კი ყოველთვის ჩანთა უკავია. მას მუდამ აუარება საქმე აქვს — მიღებები, დაჯილდოებები, მგზავრობები. ზაფხულის დასაწყისში კი დიდ ბრიტანეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ელიან. ყველაფერ ამას საკმაო ძალისხმევა სჭირდება, არადა, წლებს თავისი მიაქვს... თუმცა კი დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ორ მესამედს სურს, ელისაბედ II ტახტზე დარჩეს იმდენ ხანს, რამდენსაც ამის საშუალებას ჯანმრთელობის მდგომარეობა მისცემს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ სახელმწიფო სამსახური

პრეზიდენტის ფიცი

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი საპრეზიდენტო ინაუგურაცია 1789 წლის 30 აპრილს შედგა. მის იდეას საფუძვლად ევროპელ მონარქთა მეფედ კურთხევის ცერემონიები ედო. საგულისხმო და, ცოტა არ იყოს, სახალისოცაა, რომ თავდაპირველად ამერიკის პრეზიდენტს მეფის ტიტული უნდა ჰქონოდა — „თქვენო უდიდებულესობა“, მაგრამ ბოლო წამს ასეთ პომპეზურ მიმბაძველობაზე უარი თქვეს.

ქვეყნის პირველმა არჩეულმა თავკაცმა **ჯორჯ ვაშინგტონმა**, ფიცი ბიბლიაზე დადო და მას შემდეგ მის იმ სიტყვებს ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ხელმძღვანელი იმეორებს. ფიცის დადების ცერემონიის შემდეგ ორკესტრმა საზეიმო ჰიმნის შესრულება დაიწყო, თუმცა კი მუსიკოსებმა, ჩვეულებისამებრ, ის მელოდია დაუკრეს, რომელიც ყველაზე უკეთ იცოდნენ — ეს კი დიდი ბრიტანეთის ჰიმნი — „ღმერთო, მეფე დაიფარე“ იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკა-ინგლისის ომი ახალი დამთავრებული იყო, ვითარება ცოტა არ იყოს, უხერხული შეიქმნა.

ფიცის დადების პროცედურის შემდეგ, ამერიკელი ლიდერები სიტყვას წარმოთქვამენ. ყველაზე მოკლე იყო ერისადმი **ჯორჯ ვაშინგტონის** მიმართვა, რომელიც სულ 135 სიტყვისგან შედგებოდა. 1841 წელს პრეზიდენტმა **უილიამ ჰარისონმა** კი ეროვნული რეკორდი დაამყარა და ხალხს მთელი ორი საათი ელაპარაკა. დღე ქარიანი იყო, პრეზიდენტი გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და ერთ თვეში სული დალია. ამდენად, პრეზიდენტ ჰარისონის სახელმწიფო მეთაურად ყოფნის ვადა ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა, თავად კი ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელიც პრეზიდენტის რანგში გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე **ჯონ ტაილერი** კი ქვეყნის პირველი პრეზიდენტია, რომელმაც ფიცი ცერემონიის ჩაუტარებლად დადო. ასევე საზეიმო რიტუალის გარეშე მოუწია ფიცის დადება





1963 წელს პრეზიდენტ **ჯონ კენედის** მკვლელობის შემდეგ ვიცეპრეზიდენტ **ლინდონ ჯონსონს**. მან ფიცი პირდაპირ საპრეზიდენტო თვითმფრინავის ბორტზე დადო, რომლითაც კენედის ცხედარს დალასიდან ვაშინგტონში მიასვენებდნენ. ზოგადად კი, ამერიკის პრეზიდენტის ფიცი 33 სიტყვისგან შედგება.

ამერიკულთან შედარებით, პრეზიდენტების ფიცის დადების ცერემონიები ევროპაში გაცილებით მოკრძალებულია. კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წარმავალი და მომავალი პრეზიდენტები ელისეს მინდვრებზე სასახლეში ნახევარი საათით ერთმანეთის პირისპირ რჩებიან უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დოკუმენტებისა და „ბირთვული ჩემოდნის“ გადასაცემად. ჩეხეთში დაკანონებული ცერემონიიდან ოდნავი გადახვევაც კი პრეზიდენტისთვის ხელახალი არჩევნების საფრთხის შემცველია.

ნინო ალექსანდრია

„არის, ქალბატონო გენერალო!“

რეალური და არა ქაღალდზე დეკლარირებული გენდერული თანასწორობა თანდათანობით მსოფლიო პოლიტიკაში სულ უფრო მტკიცე პოზიციებს იკავებს. ამის საუკეთესო მაგალითია დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრად 46 წლის პენელოპა მერი მორდონტის დანიშვნა.

ბევრ ქვეყანაში უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას, დიდი ხანია, ქალბატონები იკავებენ — ამის საუცხოო მაგალითებია თუნდაც თავის დროზე თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი და საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ასევე უმაღლესი პოსტები უკავიათ ქალბატონებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, ისლანდიაში, სხვაგან. წლიდან წლამდე სულ მეტი ქალბატონი სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელადაც ინიშნება და ეს ამბავი დიდი ხანია, აღარავის აოცებს. მათ შორის კი, ვინც თავისი ქვეყნის სამხედრო ძალების ხელმძღვანელი გახდა, პირველი ქალბატონი **ფინელი** ელიზაბეტ რენი (1990-1995) იყო.

მას შემდეგ სამხედრო მინისტრის პოსტები ეკავათ **კოლუმბიელ** მართა ლუსია რამირესს (2002-2003), **არგენტინელ** ნილ და ჰარეს (2005), **ლატვიელ** ლინდა მურნიციეს



(2006), **ჩეხ** ვლასტა პარკანოვას (2007-2009), **ეკვადორელ** გუადალუპე ლარივას (იგი 2007 წლის იანვარში ავიაკატასტროფაში დაიღუპა და ლორენა ესკუდერომ შეცვალა), **ესპანელი** კარმე ჩაკონი (2008-2011, თანამდებობაზე შვიდი თვის ფეხმძიმე დაინიშნა), **ფრანგი** მიშელ ალიომარი (2002-2007), **შვედელი** კარინ ეკსტრემი (2012-2014), **ლიტველი** რასა იუკნიავიჩენე (2008-2012), **იაპონელი** იურიკო კორიკე (მხოლოდ ერთი თვე 2007-ში).

სადღეისოდ კი თავდაცვის მოქმედი მინისტრები არიან **სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში** ნოსივევე მაპისა-ნკაკულა, **ნიდერლანდში** ჟანინ ჰენის-პლასჰარტი, **გერმანიაში** შვიდი შვილის დედა ურსულა ფონ დერ სერეიდე, **ნორვეგიაში** ერიკსენ რაიდი, **ალბანეთში** მიმი კოდელი, **იტალიაში** რობერტა პინოტი, **ავსტრალიაში** მარიზ პეინი, ბოსნიაში მარინა პენდეში, **ესპანეთში** დოლორეს დე კოსპედალი და **იაპონიაში** ტომომი ინადა.

დალი ხუნდაძე

შერლოკ ჰოლმსი ქალების, ბრძნობების და ამხანაგობის შესახებ

ცხოვრება გაცილებით აურაცხელ უცნაურ ამბავს გვთავაზობს, ვიდრე ჩვენს გონებას შეუძლია წარმოდგენა. ხშირად თავში არ მოგვივა ისეთი რამ, რასაც ცხოვრებაში არსებობის უფლება აქვს და იმდენი ხნის ისტორია მოეპოვება, რომ გაცვეთილიც არის. ჩვენ რომ ხელიხელჩაკიდებულებს გარეთ გაფრენა და სახლების სახურავების ფრთხილად გადახდა და სახლებს შიგნით რა უცნაური ამბებიც ხდება, იმისი ზემოდან დანახვა შეგვეძლოს, თვალს მოგვჭრიდა განსაცვიფრებელი შემთხვევები, განზრახვები, დასახულ გეგმათა მონახაზები, გამოუცნობი ქარაგმები, მრავალი გაუგებრობა, თაობათა შორის განმეორებული გასაკვირველი შემთხვევები, მუდამ უცნაური შედეგები რომ ახლავს თან. ყოველივე ნანახი თავისი პირობითობითა და თითქოს წინასწარ გადაწყვეტილი შენაჯამით ჩვენ კარგა ხნის ნათრევ, ნახმარ, გამოფიტულ და უსარგებლო ამბებად მოგვეჩვენება.

* * *

ის შემთხვევები, რომლებიც გაზეთებს გარეთ გამოაქვთ, ჩვეულებრივ შიშველი და ვულგარულია. პოლიციის უწყებებში მოთავსებული ამბები, უხეში რეალიზმით, უკიდურეს საზღვრებსაც კი სცილდება, არც მხატვრულია და არც მომაჯადოებელი.

* * *

საჭირო ამბების შერჩევა, წინასწარ ჭვრეტა და დიდი დაკვირვება. საპოლიციო უწყებათა ძირითადი ნაკლი სწორედ ამ ამბების უკმარობა და ღარიბულად წარმოდგენაა. ისინი უბრალო უშვერი, უხამსი ამბების ზოგადად წარმოდგენას ამჯობინებენ წვრილმანებში კირკიტს. დაკვირვებული და მახვილი თვალისთვის კი საქმის არსი წვრილმანებსა და დეტალებშია საძიებელი. ყველაზე ხელოვნურად სწორედ გაცვეთილი და გახუნებული ამბები მოჩანს.

* * *

მე „მორნინგ სტარი“ ავიღე და თვალში მოხვედრილი პირველი სათაური წავიკითხე: „ცოლის მიმართ გამოჩენილი სიმხეცე“. ამ სათაურს მთელი ერთი სვეტი ნაბეჭდი ტექსტი მოსდევს, მაგრამ წაუკითხავად ვიცი, შიგ რაც ეწერება. რაღა თქმა უნდა, საქმეში სხვა ქალია ჩარეული, ამას თან მოჰყვა სმა, ცემა-ტყეპა, დაუეჭვილობანი და სისხლნაჟღენთები, დის ან მოსამსახურე ქალის სიბრალული... ამაზე უარესს უმწიფარი და წერაში სრულიად გაუწაფავი მავანი მწერლუკაც კი ვერ მოიფიქრებდა.

* * *

– მერედა, როგორ შეამოწმეთ თქვენი ეჭვი?

– როცა ეჭვმიტანილი პირი არსებობს, შემოწმებაც და დადასტურებაც იოლია. მე ვიცოდი ის ფირმა, სადაც უინდიბენკი მუშაობს. ავიღე ჰოსმერ ენჯელის დაკარგვის გამო გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა, რომელშიც იმისი გარეგნობის აღწერა იყო, ის გამოვაკელი, რისი გამოყენებაც კაცს გადაცმისას შეუძლია (ქილვაშები, სათვალე, ჩახრინწული ხმა და ამისთანები) და ფირმას იმ თანამშრომლის გვარის ცნობება ვთხოვე, ვის გარეგნობასაც გაზეთში გამოქვეყნებული აღწერა ესადაგებოდა. ამას ისიც დაერთო, რომ იმათ ოჯახში ხმარებული საბეჭდი მანქანის თვისებები შევისწავლე და უინდიბენკს სამსახურში გავუგზავნე თხოვნა, ჩვენთან შემოიარე-მეთქი. როგორც მოველოდი, უინდიბენკმა მანქანაზე დაბეჭდილი წერილით მიპასუხა. წერილების შედარებისას აღმოჩნდა, რომ საბეჭდი მანქანის წვრილმანები, მაგრამ დამახასიათებელი დეფექტები მეორდებოდა. ამ დროს „ვესტ ჰაუს მერბენკის“ ფირმიდანაც მაცნობეს: გარეგნული ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენს წერილში აღწერილი პიროვნება ჩვენი თანამშრომელი მისტერ ჯეიმს უინდიბენკი უნდა იყოს.

* * *

ამაღლებული აზრი, გონიერება და ცხოვრების ცოდნა ჰაფეზისთვის ისევე დამახასიათებელია, როგორც ჰორაციუსისთვის. აზრთა საგანძური მსოფლიოს ყოველ კუთხეში ერთნაირად საძიებელია.

* * *

თუ საქმის ბოლომდე მიდევნება გინდა, პრაქტიკულად რამე უნდა იღონო, რათა ძიებას ბოლო მოადევნო და საქმე სასამართლოს გადასცე.

* * *

ჩვენი დავა უმთავრესად იმაზე აღმოცენდა, თუ თითოეული ადამიანი რით არის დავალებული თავის წინაპართაგან, რომ მამაპაპური თვისებები მეორდება ადამიანში და რას იძენს იგი გონებრივი თვალსაჩიერის გაფართოებით, გამუდმებული ვარჯიშითა და მუდმივი მეცადინეობით.

* * *

მე იმ ადამიანებს არ ვეთანხმები, ვისაც თავმდაბლობა ღირსება ჰგონია, ვინც ლოგიკურად აზროვნებს, იმისთვის საგნები და მოვლენები ისეთივეა, როგორიც სინამდვილეში გვხვდება. ვისიმე შეუფასებლობა ისევე შორდება ჭეშმარიტებას, რარიგადაც საკუთარ ძალთა შეძლებაზე დიდი წარმოდგენა.



შერლოკ ჰოლმსი ადამიანის ბუნებასა და თავისი ხასიათის თვისებებზე

აგურდული დანაშაული რომ გახსნა და მორალმოქმედნი მოიხელთო, მარტო თამაქოს ფერფლის ამა თუ იმ ხარისხში გარკვევა არა კმარა და არც იმის ცოდნაა საკმარისი, ლონდონის რომელ ნაწილშია ტალახი მურა-ნაცრისფერი (თუმცა ესეც უკიდურესად მნიშვნელოვანია!). ჭეშმარიტ მაძებარს, როგორც გულხმიერ ფსიქოლოგს, ადამიანის არსი უნდა ესმოდეს, რათა ყოველგვარი საქციელის მიზეზები განსაზღვროს, ხანდახან კი სულაც წინასწარ გამოიცნოს სხვათა მოქმედებანი. და, რა თქმა უნდა, სანამ სხვას შეიცნობდე, აუცილებელია საკუთარი თავის ღრმად შეცნობა. ამ თავში ვკითხულობთ, რას ამბობს შერლოკ ჰოლმსი ადამიანთა მოდგმაზე, თვითონ მაძებრის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნაში კი გვეხმარება ჰოლმსის ასისტენტი, თანამებინავე და, რასაკვირველია, ჩინებული მეგობარი – დოქტორი (ექიმი) ჯონ ვატსონი.

* * *

გახსოვთ, რას ამბობს დარვინი მუსიკაზე? ის ამტკიცებს, რომ მუსიკის შექმნისა და იმით ტკბობის უნარი ადამიანებს მანამდე გაუჩნდათ, სანამ ამეტყველდებოდნენ. ალბათ, ამიტომაც გვაღელვებს მუსიკა აგრერიგად. ჩვენს სულებში დღეს აქამომდე ინახება დრო-ჟამის ნისლში გახვეული არაერთი მოგონება იმ ბუნდოვან საუკუნეებზე, როცა ქვეყნიერება ჯერ კიდევ ნორჩი იყო.

* * *

სულელურ ქუდ-თავსაბურავთა მოყვარულთ არცთუ უბრალო დამოკიდებულება აქვთ ადამიანებთან.

* * *

თანამედროვე რელიგიური თავგამოდება ძალიან მაშფოთებს. სად არის გაუგებრობის სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა?

* * *

არის ისეთი ხეც, ვატსონ, ნორმალურად რომ იზრდება განსაზღვრულ სიმაღლემდე. მერე უცებ აღმოაჩენს თავის განვითარებაში ნორმიდან გადახრას რასმე. ეს ხშირად ადამიანთაც ემართებათ. ჩემი თეორიის თანახმად, თითოეული ინდივიდუუმი თავის განვითარებაში სუყოველი თავისი წინაპრის განვითარების ისტორიას იმეორებს და, ვფიქრობ, ყოველგვარი მოულოდნელი მიტრიალება კეთილისა თუ ბორტისკენ უნდა აიხსნას რაღაც ძლიერი ზეგავლენით, რისი წყაროც უნდა ვეძებოთ ადამიანის საგვარტომოში. მაშასადამე, ამ ადამიანის ბიოგრაფია თითქოსდა მთელი ოჯახის მინიატიურაში მოქცეული ბიოგრაფიის ანარეკლია.

* * *

მე გაბედული კაცი ვარ. თუმცა ანგარიშს თუ არ უწევ დამუქრებულ ხიფათს, ეს უფრო სისულელეა, ვიდრე სიმამაცე.

* * *

ზოგიერთნი, ვინც თვითონ არცრა თვალსაჩინო უნარს არა ფლობს, ოსტატურად ახერხებენ სხვა ადამიანებში ამ უნართა აღგზნებას.

* * *

შერეკილთ რა გამოლევს, უიმათოდ ნამდვილად მოვიწყენდით.

* * *

გეცოდინებათ, რომ ექიმები განუკურნებელ ავადმყოფთ ზოგჯერ ექიმბაშებთან აგზავნიან. რომ ჰკითხოთ, რატომ სჩადიხართ ამასო, გიპასუხებენ: ჩვენ თავად მეტი არცრა შეგვიძლია, ავადმყოფისთვის კი სულერთია, უარესი მაინც არაფერი არ დაემართებათო.

* * *

თეატრმა ჩემი სახით ზუსტად იმდენი დაკარგა, რამდენიც მართლმსაჯულებამ მოიგო.

* * *

იმას თავისი საკუთარი საყვარელი ხერხები აქვს, რომელი ხერხებიც, აქ თავს შენიშვნის უფლებას მივცემ, რამდენადმე განყენებული და ფანტასტიკურია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც ჩინებულ შედეგთ იძლევიან.

* * *

ჩემში ჩადებულია თვისებები კარგა გვარიანი ზარმაცისაც და გამოუსწორებელი ჩხუბისთავისაც. მე ხშირად ვიგონებ გოეთეს სიტყვებს: რა დასანანია, რომ ბუნებამ შენგან ერთი ადამიანი შექმნა: შენში რა მასალაც არის, წმინდანის შექმნასაც ეყოფოდა და არამზადისასაცო.

* * *

რაც ერთის მიერ გამოგონებულია, მერე იმით მრავალი სარგებლობს, მაგრამ გამომგონებელი ხშირად აღარავის არ ახსოვს.

* * *

– შენ კაცობრიობის ჭეშმარიტი კეთილისმყოფელი ხარ, – ვუთხარი.

ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა:

– ასე თუ ისე, მართლა მომაქვს რაღაც სარგებელი, „L’homme c’est rien – I’oeuvre e’est tout“ (ადამიანი არრაა – საქმეა ყველაფერი), როგორც ფლობერი ამბობს ჟორჟ სანდისთვის მიწერილ უსტარში.

* * *

ადამიანმა ანდა, ყოველ შემთხვევაში, ბორტმოქმედმა, ფხიანობა და თავისთავადობა დაკარგა.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-102



მეტროსადგურ „გოცირიძის“ ბაქანი გადაიხურება

მეტროსადგური „გოცირიძე“ (ყოფილი „ელექტროდეპო“) ამ დროისთვის ერთადერთი სადგურია, რომელსაც ღია ტიპის პლატფორმა აქვს. თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ „გოცირიძის“ რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოაცხადა. იგეგმება სადგურის კაპიტალური რემონტი.

სამუშაოების ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ სადგურის გადახურვას ითვალისწინებს – ლითონის კვადრატული და მართკუთხა მილებისგან შედგენილი სვეტების, შემკრავი კოჭების, დიაგონალური კავშირებისა და სხვა თანმდევი კონსტრუქციული ელემენტებით. მეტროსადგურის რემონტის ჯამური სავარაუდო ღირებულება ორ მილიონ ლარს აღემატება. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 210 დღის ვადაში უნდა ჩაატაროს.

მალე ბორჯომში კავკასიური ფიჭვის ტყე აღდგება

ბორჯომში, პლატოს ტერიტორიაზე, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ფარგლებში, კომპანია „ბრითიშ ამერიკან ტობაკოს“ კავკასიისა და მოლდოვის წარმომადგენლობამ საქართველოში, 1500-მდე კავკასიური ფიჭვის ნერგი დარგო. პროექტი ნარგავების შემდგომ მოვლასაც ითვალისწინებს. კომპანია, ბორჯომის ხეობაში, ტყის აღდგენით სამუშაოებში, რამდენიმე წელია აქტიურად მონაწილეობს და ჯამში 15 000-მდე წიწვოვანი სახეობის ნერგი აქვს დარგული.

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ პლატოს ტერიტორიაზე ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 3 ჰა ფართობზეა დაგეგმილი და ეტაპობრივად ხორციელდება.

იცვლება ამორტიზებული მილსადენები

გაზგამანაწილებელი კომპანია დედაქალაქში ამორტიზებული მილსადენების ჩანაცვლების პროგრამას იწყებს. „ყაზტრანსგაზ თბილისი“ დედაქალაქში, კანდელაკისა და ბუდაპეშტის ქუჩებზე ჩადებული კოროზიული და ამორტიზებული მილების სრულად ახალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტებით დადგენილი პოლიეთილენის გაზსადენებით ჩანაცვლებას იწყებს, რაც აღნიშნულ ქუჩებზე მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო გაზმომარაგებას უზრუნველყოფს. მსგავსი პროექტებისთვის გაზგამანაწილებელი კომპანია წელიწადში 20-მილიონიანი ინვესტიციის გამოყოფას გეგმავს.

დანართი №1 (6 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2019 წლის „23 მაისის“
№ 01-01-3/189 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი განახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	10 000 m^3	168,00	250,00
2	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N302	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 200 m^3	20,20	205,00
3	ქ.ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ.N91	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	3 650 m^3	61,20	220,00
4	ქ.ბათუმი, აღმაშენებლის ქ.N13	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	3 650 m^3	61,20	220,00
5	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ.N322	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	300 m^3	5,10	202,00
6	ქ.ბათუმი, დიმიტრი თავდადებულის ქ.N24	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 825 m^3	31,00	210,00
7	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: გვარა, ხუცუბანი,ლეღვა, მუხაესტატე, წყავროკა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება წყალმომარაგების დანიშნულებით	P	10 წელი	სულ: 4 800 000 m^3 (სოფ.გვარა-ორ ჭაბურღილზე - 1 200 000m^3, სოფ.ხუცუბანი-ორ ჭაბურღილზე - 1 200 000 m^3, სოფ.ლეღვა-ორ ჭაბუღილზე - 1 200 000 m^3, სოფ.მუხაესტატე -ერთ ჭაბურღილზე - 600 000 m^3, სოფ.წყავროკა -ერთ ჭაბურღილზე - 600 000 m^3)	10 000	2 200
8	ქ.ქობულეთი, რუსთველის ქ.N174	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	174 000 m^3	2 917	800
9	ქ.ბათუმი, კოწია ერისთავის ქ.N21	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	473 040 m^3	7 929.00	2 200

ფშაველი-აბანო-ომალოს გზაზე გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება

ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზაზე გზის გაწმენდითი, სტიქიის სალიკიდაციო და პრევენციის სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. მძიმე ტექნიკით სამუშაოებს ერთდროულად რამდენიმე კომპანია აწარმოებს. ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ მეცხვარეებს საფეხმავლო ბილიკებით თუშეთისკენ გადაადგილება უკვე შეუძლიათ. პარალელურად, გზის ორივე მხრიდან გრძელდება თოვლის წმენდისა და ზამთრის პერიოდში დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები. სამუშაოები გრძელდება სტიქიის ზონაში, სადაც მდინარის კალაპოტის ფორმირებისა და ფშაველი-აბანო-ომალოს გზის მე-9 კმ-ზე ჩანგრეული გზის აღდგენითი სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. ასევე, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები სტიქიის პრევენციისა და დაზიანებული მონაკვეთების აღსადგენად.

შეგახსენებთ, რომ 10 მაისს უსვი ნალექების შედეგად შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის მე-9 კმ-ზე, სოფელ ლეჩურთან გზის სავალი ნაწილი წყალმა წაიღო, რის გამოც აღნიშნული საავტომობილო გზის კმ9-კმ72 მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო აღნიშნული გზის კმ1-კმ9 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

10	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ. N67	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	10 000 მ³	168.00	250
11	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ. N 97	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P2	5 წელი	40 000 მ³	671.00	400

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ
	დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 27 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 28 ივნისს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 28 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 28 ივნისს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲦᲓᲒᲐ

ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ინტერტრანსის“ ინფორმაციით, რუსთავიდან თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით, მიკროავტობუსების მოძრაობა აღდგა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ რუსთავიდან თბილისის მიმართულებით 13 ე.წ. ყვითელი სამარშუტო მიკროავტობუსი მოძრაობს. მათივე ინფორმაციით, კომპანია მზად არის ე.წ. თეთრ მიკროავტობუსებზე დასაქმებული მძღოლები „ინტერტრანსის“ კუთვნილ ყვითელ სამარშრუტო მიკროავტობუსებზე დაასაქმონ.

ამასთან, კომპანია „ინტერტრანსში“ აცხადებენ, რომ რუსთავიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით მოძრავი ყველა ე.წ. თეთრი მიკროავტობუსი ამჟამად უკანონოდ მოძრაობს, რადგან მათ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ამოეწურათ. „ინტერტრანსი“ შესაბამის სამსახურებს მიმართავს, ე.წ. თეთრი მიკროავტობუსების წინააღმდეგ საჯარიმო სანქციები აამოქმედონ.

ე.წ. თეთრი მიკრაოავტობუსების მძღოლები კომპანია „ინტერტრანსის“ შეთავაზებაზე უარს აცხადებენ, შესაბამისად რუსთავიდან თბილისის მიმართულებით კვლავ კუთვნილი ე.წ. თეთრი მიკროავტობუსებით მოძრაობენ. აქცია რუსთავში, მე-19 მიკრორაიონში გუშინ დილით გაიმართა. მოსახლეობა და ე.წ. თეთრი სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლები რუსთავიდან თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალების პრობლემის მოგვარებას ითხოვდნენ.

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚ, ᲡᲐᲨᲘᲨ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲠᲙᲐᲚᲨᲘ

ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ცნობილი კომპანია ევროკავშირის უსაფრთხოების წესებს არღვევს. ინფორმაციას „ევრონიუსი“ ავრცელებს. საუბარია საკვების, მედიკამენტების, კოსმეტიკისა და პლასტიკის მწარმოებელ კომპანიებზე, რომელთა დიდი ნაწილი უკვე წლებია, იყენებს ევროკავშირში აკრძალულ და საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს. როგორც გერმანული გარემოსდამცველი ორგანიზაცია „ბუნდის“ მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, ცნობილი კომპანიები უკვე წლებია, არღვევენ ევროკავშირის კანონმდებლობას.

საქმე ეხება ისეთი ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დედის მუცელში მყოფ ნაყოფს, ან ხშირად იწვევენ ავთვისებიან სიმსივნეს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციაში ყოველ წელს 12-დან 121 მილიონ ტონამდე 31 სხვადასხვა აკრძალულ ქიმიკატს იყენებენ. საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს ინდუსტრიული პროდუქტები, მედიკამენტები, საკვების შესაფუთი მასალა და სათამაშოებიც. „ევრონიუსის“ ცნობით, სკანდალში ფიგურირებენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა „ბაერი“, „ექსონმობილი“, „ბიპი“, „მიშელინი“, „ლორეალი“ და სხვები.

დოკუმენტებში დეტალურად არის ჩამოთვლილი ის 654 კომპანია, რომლებიც ევროკავშირის წესებს არ ემორჩილებიან. ყველაზე მეტი კანონდამრღვევი კომპანია გერმანიაშია. მას მოსდევს დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და ბელგია. სკანდალური დოკუმენტები ეხება კომპანიებს, რომლებიც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში არიან წარმოდგენილები, გარდა მალტისა და ლატვიისა.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ – ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ, ᲒᲚᲓᲐᲜᲨᲘ ᲙᲘ „ᲝᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ“ ᲒᲐᲥᲣᲠᲓᲔᲡ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ აჭარის ტელევიზია იუწყება, მეპატრონეებს ობიექტი დილით გატეხილი დახვდათ. ამ ეტაპზე უცნობია, რისი წაღება მოახერხეს მძარცველებმა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. ტერიტორია კი ყვითელი ლენტით იყო შემოფარგლული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო, რაც 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

* * *

ᲒᲚᲓᲐᲜᲨᲘ მაღაზიათა ქსელ „ორი ნაბიჯის“ ფილიალი გაქურდეს. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. გამთენისას კი „ორი ნაბიჯის“ ამავე ფილიალში ხანძარი გაჩნდა.

ᲡᲐᲖᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲣᲤᲡᲐᲨᲘ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ მუნიციპალიტეტში, სოფელ სუფსასთან მომხდარ ავტოავარიას 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ერთმანეთს სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები დაეჯახნენ. დაიღუპნენ მსუბუქი ავტომობილის მძღოლი და 3 მგზავრი.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

არგენტინაში - 28 რჩეულით



ხვალ „უმცროსი ბორჯღალოსნები“ არგენტინაში მიემგზავრებიან, სადაც 4 ივნისიდან მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ჩაებმებიან.

გუნდის უდავო ლიდერად თედო აბჟანდაძე უნდა მივიჩნიოთ, რომელიც 20-წლამდელთა პლანეტარულ ფორუმზე მესამედ ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ის და ვანო კარკაძე ეროვნული ნაკრების წევრებიც არიან.

მართალია, ამჯერად მხოლოდ ექვსი ლეგიონერი გვყავს, მაგრამ, ვფიქრობთ, ბიჭებს სავსებით ხელეწიფებათ ელიტაში ადგილის შენარჩუნება, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მრისხანე მეტოქეთა ფაქტორის გათვალისწინებით, ეს ადვილი არ იქნება.

მთავარ მწვრთნელ ილია მაისურაძის რჩეულთა ვინაობა ასეთია:

პირველი ხაზი — ღვალაძე („გრენობლი“), ჭელიძე („ტულონი“), კარკაძე („ორიაკი“), „ნიორაძე („ჯიქი“), ხარაიშვილი („რასინგი “), თევდორაშვილი („ანგულემი“), აზარიაშვილი („მონპელიე“).

მეორე ხაზი — გელაშვილი („არმია“), ჯინჭარაძე („ჯიქი“), გვიმრაძე („ხვამლი“).

მესამე ხაზი — ბურჭულაძე („ხარები“), ყორიაული („ლელო“), კოლოტაური („ლელო“), გუშარაშვილი („ყოჩები“), იაშაღაშვილი („არმაზი“).

№9 — ალანია („არმაზი“), მარგალიტაძე („ლელო“).

№10 — აბჟანდაძე („აია“), მარგიანი („აკადემია“).

№12-13 ლომიძე („აია“), სიმსივე („აია“), ცინცაძე („არმაზი“), თაფლაძე („ლელო“).

№11-14 — ლაშხი („ლელო“), ქავთარაძე („ხარები“), მარჯანიშვილი („არმაზი“).

№15 — პაპუნაშვილი („არმია“), ჭიჭინაძე („ჯიქი“).

ალბათ, დაგაინტერესებთ ჩვენებურთა თავკაცის კომენტარიც: **„სამწუხაროდ, რამდენიმე ტრავმირებული მორაგბე გამოგვაკლდა და შემადგენლობაში არ გვყავს მაღალი, მხტომელი ყმაწვილები, რის გამოც დერეფანში ცოტა გაგვიჭირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენი ძლიერი მხარეა კონტაქტის ზონაში ღია ოპერაციები და საჩუქარი არავისთვის ვიქნებით. გულშემატკივარს ვპირდები, რომ სამხრეთ ამერიკაში ბრძოლა ყველა შეხვედრაში ბოლო წუთამდე გაგრძელდება“.**

ჯგუფური რაუნდი

4 ივნისი. საქართველო — ახალი ზელანდია.

8 ივნისი. საქართველო — სამხრეთ აფრიკა.

12. ივნისი. საქართველო — შოტლანდია.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ლიონი ნიკასია...

27 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ლიონში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 586 140 ევრო) პირველ ნომრადაა განთესილი, მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

ნიკა შეჯიბრში პირდაპირ მერვედფინალიდან ჩაება და „იღბლიანი წაგებულის“ სტატუსის მქონე ფრანგ ტრისტან ლამასინს, რომელმაც საწყის რაუნდში კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული იანიკ სინერი დაჯაბნა, 7:5, 7:5 სძლია.

შეხვედრა საათსა და 37 წუთს გაგრძელდა და ბასილაშვილმა 3 ეისი და 5 ორმაგი შეცდომა მიითვალა. მას პირველ მოწოდებაზე 68%-ანი მაჩვენებელი

ჰქონდა, საიდანაც სათავისოდ 71% (37 52-დან) დაასრულა, მე-2 მოწოდებაზე კი ბურთების 44% (11 25-დან) მოიგო.

ქართველმა ჩოგბურთელმა 8-დან 4 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად მოწოდება 2-ჯერ დათმო და ჯამში მეტოქის 75-ს წილ 83 გათამაშებაში იმარჯვა.

მეოთხედფინალში გასვლის წყალობით ნიკამ 45 სარეიტინგო ქულა და 26 990 დოლარი გამოიმუშავა, მისი მომდევნო მეტოქე კი ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი ჟო-ვილფრიდ ცონგა იქნება.

ეს უკანასკნელი უკვე 34 წლის გახლავთ და მსოფლიოს რეიტინგში 85-ე ადგილზეა, არადა, კარიერის პიკზე, 2012 წლის თებერვალში კლასიფიკაციის მე-5 ნომერი იყო.

საინტერესოა, რომ ბასილაშვილს ცონგასთან ერთადერთხელ სწორედ ლიონის ტურნირის ნახევარფინალში უთამაშია და 2017 წელს 2:6, 6:3, 1:6 დამარცხდა, ამდენად, რევანშის კარგი შანსი აქვს.

თუკი ნიკოლოზმა ფრანგული ბარიერი დაძლია, ATP-ს ლაივ-რეიტინგში მისთვის სარეკორდო მე-16 პოზიციაზე გადაინაცვლებს, ნახევარფინალში მისი სავარაუდო მეტოქე კი კანადელი ფელიქს ოჟიალიასიმისა და ამერიკელი სტივ ჯონსონის შეხვედრაში გაირკვევა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ოლიმპიზმი

დოპინგს ჩინელიც შეუტევს

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) შორტ-ტრეკში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ჩინელი იან იანი მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა.

„აღმასრულებელმა საბჭომ WADA-ს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატი განსაზღვრა. ასეთია იან იანი — 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი,“ — ლოზანაში მიმდინარე IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომისას განაცხადა ორგანიზაციის პრეზიდენტმა თომას ბახმა.

WADA-ს საპრეზიდენტო არჩევნებს 2019 წლის ნოემბერში პოლონური კატოვიცე უმასპინძლებს, პრეზიდენტის არჩევის შემდეგ კი მისი ვიცე-პრეზიდენტების ვინაობაც გაირკვევა.

ბეჭან დოლიძე

◎ სუმო



ჩავარდნა ყველას აქვს

ნაცუ ბაშოს მე-12 საშეჯიბრო დღეს ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ მორიგი მარცხი განიცადა. ტოჩინოშინის მეტოქე მეშვიდე მაეგაშირა მეისეი იყო, რომლის ბარიერიც ჩვენებურმა ვერ დაძლია.

მოწინააღმდეგემ შეტაკებისთანავე დიდი უპირატესობა მოიპოვა და ტოჩი დოჰიოდან იორიკირის ილეთით გადაიყვანა. ეს აღნიშნული წყვილის პირველი დაპირისპირება გახლდათ. გორგაძის გუშინდელ ოპონენტს მიმდინარე ბაშოზე 8 მოგების საპირისპიროდ 4 მარცხი დაუგროვდა, ლევანის ანგარიშზე კი 9 მოგება და 3 მარცხია.

ტოჩის დღევანდელი მეტოქე მიმდინარე ბაშოს ერთ-ერთი ყოჩი ასანოიამა იქნება. რანგით მეხუთე მაეგაშირას წლის მესამე სუპერტურნირზე 10 მოგება და 2 მარცხი აქვს და კაკურიუსთან ერთად თანალიდერია.

ტოჩინოშინი აქამდე მას მხოლოდ ერთხელ, 2017 წლის ნოემბრის ბაშოზე შეხვედრია და დაუმარცხებია.

თავად ასანოიამას მეტოქე სეკივაკე ტამავაში იყო, რომელმაც ფავორიტის დამარცხება ოშიდაშით მოახერხა და 8:4 ბალანსზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ეს მათი მეორე ბრძოლა იყო და ორივე შემთხვევაში ტამავაშიმ იმარჯვა.

მე-10 გამარჯვება მოიპოვა კაკურიუმ. ის მესამე მაეგაშირა რიუდენს დაუპირისპირდა და მისი დამარცხება იორიკირის ილეთით შეძლო. ეს მათი პირველი დუელი გახლდათ და იოკოძუნამ მოგებით გახსნა.

კაკურიუს დღევანდელი მეტოქე ოძეკი ტაკაიასუ იქნება. მათი ურთიერთშეხვედრების მოგება-წაგებათა ბალანსი 12:9-ზეა კაკურიუს სასარგებლოდ.

მიმდინარე ბაშოზე 8:4-ზე ბალანსი ექვს მონაწილეს: გოეიდოს, შოდაის, ტამავაშის, აბის, მაისეის და კოტოეკოს აქვს.

გიორგი შოთაძე

◎ ოკეანის გაღმა

უჩვეულო ნახტომი



თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა „სენტ ლუის ბლუზს“, სტენლის თასის ფინალში რომ გასულიყო.

არადა, ახალი წლის დღეებში ამას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე — „მუსიკოსები“ რეგულარული სეზონის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იყვნენ, მაგრამ დასავლეთ კონფერენციაში საბოლოოდ 99 ქულას მოუყარეს თავი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1970 წლის შემდეგ პირველად ითამაშებენ დასკვნით რაუნდში.

სატიტულო ბრძოლაში საკუთარი მოედნის უპირატესობა მათ მომავალ მეტოქეს „ბოსტონ ბრიუინზს“ ექნება, რადგან საშუალედო ფინიშთან იგი უფრო მეტი — 107 ქულით მივიდა. სხვათა შორის, „დათვებმა“ ამავე ზღურბლს ბოლოს 2013 წელსაც უწიეს, მაგრამ...

რაც შეეხება პირველ ეტაპს, მათ ერთმანეთს თითო ჩხვლეტა მიაყენეს — მასაჩუსეტსში მასპინძლებმა 5:2 მოიგეს, მაგრამ სტუმრად ბულიტებით 1:2 დამარცხდნენ.

დავძენთ, რომ ბოლო აკორდი 27 მაისიდან 12 ივნისამდე გასტანს და სერია 4 გამარჯვებამდე გაგრძელდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ უპასუხისმგებლობათა ჯაჭვი

7 თვის ჩვილის მკვლელობა... მსხვერპლი თუ მსხვერპლები?

შვიდი თვის ჩვილი სოფელ აღაიანის სასაფლაოზე 22 მაისს დაკრძალეს. ჩვილის დაკრძალვას არ დასწრებია 16 წლის დედა. დედას შსს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას ედავება: „გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ... საკუთარ საცხოვრებელ სახლში, 7 თვის შვილი გვიან ღამით საწოლში გაგუდა და სახლიდან გაიქცა", — წერია შსს-ს განცხადებაში.

პოლიციამ 16 წლის გოგო რამდენიმე საათში თბილისში იპოვა და დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, დედა შვილის მკვლელობას აღიარებს.

მკვლელობაში დადანაშაულებული მოზარდის მეზობლები ამბობენ, რომ მოზარდი წყალტუბოდან აღაიანში დაახლოებით ორი წლის წინ გადავიდა საცხოვრებლად. მეზობლები ვერანაირი ლოგიკით ვერ ხსნიან მომხდარს, შეძრულნი არიან სოფელში დატრიალებული ტრაგედიით: **„ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტის შესახებ არ გვსმენია. გოგო შვილს განსაკუთრებული სიყვარულით უვლიდა. ორი დღის წინ, აი, აქ, ჩვენს თვალწინ ეთამაშებოდა, ეხუტებოდა, არ ვიცით, რა მოხდა"**.

ჯაჭვი, რომელმაც სოფელ აღაიანში შვიდი თვის ჩვილი იმსხვერპლა, გრძელია. ჯაჭვის ყველა რგოლს კი სახელმწიფო სტრუქტურებამდე მივყავართ — სკოლა, სოციალური მომსახურების სააგენტო, სამედიცინო დაწესებულება, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ბავშვთა უფლებადამცველები და იურისტები შვიდი თვის ჩვილის 16 წლის დედის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასა და იმ სტრუქტურულ დანაშაულზე ლაპარაკობენ, რომელმაც მათი თქმით, ერთნაირად იმსხვერპლა ჩვილიცა და მისი არასრულწლოვანი დედაც.

ანა თავხელიძე, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" იურისტი, „რადიო თავისუფლებასთან" საუბრისას ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო ჩვილის გარდაცვალების საქმეზე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ორი წლის წინ, თავად 16 წლის მოზარდის მიმართაა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, რაც 16 წელს მიუღწეველ პირთან სრულწლოვანი პირის მხრიდან სექსუალური კონტაქტის დამყარებას გულისხმობს და რაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არ მართლდება „ქორწინებით".

შსს-ს ინფორმაციით, მოზარდის ქმარი 21 წლისაა, რაც გამოძიების დაწყების საფუძველს იძლევა:

„რეაგირების ვალდებულება რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურას ჰქონდა. მოზარდმა, სავარაუდოდ, 14-15 წლის ასაკში მიატოვა სწავლა. ამ შემთხვევაში, სკოლა ვალდებული იყო, საქმის კურსში ჩაეყენებინა სოციალური მომსახურების სააგენტო და შსს. გარდა ამისა, როდესაც მოზარდი სამედიცინო დაწესებულებაში დადგა აღრიცხვაზე, როგორც ორსული, იმავე წამიდან, სამედიცინო დაწესებულებას ჰქონდა ვალდებულება, რომ შესაბამისი სტრუქტურები, მათ შორის შსს და სოციალური მომსახურების სააგენტო ჩაეყენებინა საქმის კურსში. რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს გამოძიება ჩვილი ბავშვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა მაინც სახელმწიფოსა და მის უმოქმედობას ეკისრება".

ანა თავხელიძის თქმით, ჩვილის გარდაცვალების საქმის პარალელურად, გამოძიება უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლითაც, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის შეღწევას 16 წელს მიუღწეველი პირის სხეულში და რაც 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს: **„საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ე.წ. ქორწინება, ვერ გაამართლებს არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დამყარებას"**.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინება 18 წლის ასაკიდანაა დაშვებული. 2016 წლის პირველი იანვრიდან კი გაუქმდა წესი, რომლის თანახმადაც, 16 წელს მიღწეულ პირთან ქორწინება მშობლების თანხმობით დაიშვებოდა. გამონაკლისის სახით, 16 წლის არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით ისეთი მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ორსულობა.

რა იცოდა სკოლამ, სოციალურმა სააგენტომ და შსს-მ?

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა **მამუკა ჩხეტიანმა** ინფორმაცია არასრულწლოვანი გოგონას საქმის შესახებ, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სწავლობდა, მას შემდეგ მოიძია, რაც რესურს-ცენტრს „რადიო თავისუფლება" დაუკავშირდა.

მამუკა ჩხეტიანმა სკოლის დირექტორზე დაყრდნობით უთხრა „რადიო თავისუფლებას", რომ დაკავებული მოზარდი, კვლავაც ირიცხება ერთ-ერთი სოფლის მეთერთმეტე კლასში: **„აღაიანიდან წყალტუბოში წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდიოდა. თუკი გაცდენები უგროვდებოდა, ექსტერნად აბარებდა გამოცდებს. როგორც დირექტორმა მითხრა, საკმაოდ კარგი მოსწავლე იყო. მისი დაქორწინების შესახებ სკოლამ ცხადია, იცოდა. დირექტორმა მითხრა, რომ როგორც კი გოგონას ძმამ სკოლაში მოიტანა ამბავი მისი დაქორწინების შესახებ, სკოლამ ეს ინფორმაცია სამართალდამცავებს მიაწოდა. მათ კი დირექტორს უთხრეს, რომ მშობლები ჩვენთან არიან და საქმის კურსში ვართო"**.

სოციალური მომსახურების სააგენტოში „რადიო თავისუფლებას" უთხრეს, რომ უწყებაში არანაირი ინფორმაცია არ შესულა არც სკოლიდან და არც სამედიცინო დაწესებულებიდან მოზარდის დაქორწინებისა და ორსულობის შესახებ: **„გადავამოწმეთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტშიც და კასპის მუნიციპალიტეტშიც. არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოზარდმა ადრეული ქორწინების ნიადაგზე სკოლაში სწავლა შეწყვიტა და შემდეგ დაფეხმძიმდა, ჩვენს საგენტოში არ შემოსულა. შესაბამისად, ჩვენი სოცმუშაკები არსებული ვითარების საქმის კურსში არ იყვნენ"**, — განუმარტეს „რადიო თავისუფლებას" სოციალური მომსახურების სააგენტოს პრესსამსახურში.

მუხლი, რომლითაც გამოძიება მიმდინარეობს, გულისხმობს უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას. ამ დანაშაულისათვის 13-დან 17 წლამდე პატიმრობაა გათვალისწინებული. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებული არასრულწლოვანია, უფლებადამცველთა თქმით, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება.

ნინო თარხნიშვილი

ახალი ქარსაფარი ზოლები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ახალი პროექტის — „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში" პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ფარგლებში, საგარეჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში 25 კმ (18 ჰა ფართობი) ქარსაფარი ზოლები გაშენდება.

„ნიადაგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ქარსაფარი ზოლების აღდგენისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება. მინდორდაცვითი ზოლების აღდგენის საკითხზე სამინისტრო აქტიურად მუშაობს. მადლობა მინდა გადავუხადო დონორ ორგანიზაციებს მხარდაჭერისთვის, რასაც მათგან ვიღებთ ზოგადად დარგის განვითარებისთვის და ახალი პროექტის „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში" განხორციელებისთვის", — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, **გიორგი ხანიშვილმა**.

პროექტი „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში" მულტისექტორულია, რაც ნიადაგის და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან ერთად, კლიმატთან ადაპტაციის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულ პროექტს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობა (AMMAR) პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გამართულ შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები იური ნოზაძე და სოლომონ პავლიაშვილი, კახეთის რეგიონის შესაბამისი მუნიციპალიტეტების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სეტყვისგან დაზარალებულ ბენეფიციარებს ზარალი აუნაზღაურდებათ

კახეთის **რეგიონში სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი აგროდაზღვევის პროექტში ჩართულ ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ. ამ ეტაპზე, შემოსულია 1200-ზე მეტი შეტყობინება; ზარალის დათვლა აქტიურად მიმდინარეობს. ზარალის შეფასების პროცესს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი პაატა შეყელაძე, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და სადაზღვევო კომპანიის „ალდაგი" წარმომადგენლები დაზარალებულ სოფლებში გაეცნენ. როგორც სააგენტოს დირექტორმა აღნიშნა: „აგროდაზღვევის პროექტი ცალსახად ეფექტიანი ინსტრუმენტია სტიქიური მოვლენების შემთხვევაში ზარალის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით მხარდაჭერა ფერმერებს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად შეამცირონ ის რისკები, რაც აგრარულ დარგში საქმიანობას ახლავს თან"**.

მიმდინარე წელს აგროდაზღვევის პროექტში სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პოლისის შესყიდვაზე თანამონაწილეობა ყველა კულტურაზე 70%, ხოლო ვაზზე 50%-ია. აგროდაზღვევის პროექტში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არა უმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში, არა უმეტეს, 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე, ნებისმიერ იმ ბენეფიციარს, რომელიც ფლობს უფრო მეტ მიწის ფართობს, 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას, შეუძლია სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება მიიღოს.

2019 წლის მაისის თვის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში გაცემულია 6,737 პოლისი; პროექტში ჩართულია 3,582 ბენეფიციარი; სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 3,568,646 ლარი შეადგინა. დაზღვეულია 6,982 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულება, ჯამში, 71,978,204 ლარია. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს", რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

ვულოცავთ!

საგზაო დარგის ღვაწლმოსილ პროფესიონალს ომარ კაკაურიძეს

საქართველოს მეგზაურთა საზოგადოება ღრმა პატივისცემით გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს და შრომითი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან თარიღს.

თქვენ დღესაც დიდი შემართებით აგრძელებთ მუშაობას საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევით და საწარმო ტექნოლოგიური კომპლექსური ინტიტუტის (საქგზამეცნიერება) გენერალური დირექტორის მოადგილედ და საპროექტო ცენტრის ხელმძღვანელად.

თქვენ ბრძანდებით მაღალი რანგის პროფესიონალი, კარგი მეგობარი და მეოჯახე, კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეგზაურთა საზოგადოების თავმჯდომარე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.



საქართველოს რადიო 94 წლისაა

23 მაისი საქართველოს რადიოს დაბადების დღეა.

საქართველოს რადიომ მაუწყებლობა 1925 წელს დაიწყო, რომელიც დღეს პირველი ელექტრონული მედიასაშუალებაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

რადიო დაარსების დღიდან თავისი არსით საზოგადოებრივი იყო, რადგან საზოგადოების მოსაკრებლით არსებობდა. საქართველოს რადიო მსმენელებს სიახლეებს ყოველ წელს სთავაზობს. რადიოს დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი – „საქართველოს რადიო“. წელს დასრულდება პროექტი, რომლის შედეგად საქართველოს რადიოს მოსმენა მთელი საქართველოს მასშტაბით იქნება შესაძლებელი. ასევე, გაუმჯობესდება გადაცემის ხარისხი. შეიცვალა რადიოსიხშირე და ახლა საქართველოს რადიოს მოსმენა დედაქალაქში FM 102.3 სიხშირეზეა შესაძლებელი. კენტ მეათედებიან სიხშირეზე გადასვლა აუდიტორიის უკეთ მოცვის მიზნით მოხდა (აშშ-იდან იმპორტირებული მანქანების უმრავლესობა იჭერს მხოლოდ კენტ მეათედებიან სიხშირეებს).

ასევე, შეიქმნა მობილური აპლიკაცია. მომხმარებლებს საქართველოს რადიოს აპლიკაციის გადმოწერა შეუძლიათ Play Store-იდან, დასახელებით „1tv საქართველოს რადიო“. რაც შეეხება App Store-ს, აპლიკაცია რამდენიმე დღეში იქნება ხელმისაწვდომი.

საქართველო ფრანკფურტის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გერმანიაში, ფრანკფურტის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში „ IMEX 2019“ მონაწილეობს.

საქმიანი ტურიზმის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად წარმოდგენილია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. გამოფენაში 17 კერძო კომპანია, მათ შორის არის 10 საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წევრი კომპანიები.

გამოფენას ესწრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი. IMEX 2019“-ზე საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პრეზენტაციები მოაწყო.

ფრანკფურტის გამოფენაზე საქართველოს სტენდთან სტუმრებს საშუალება აქვთ, იხილონ საიმიჯო ვიდეორგოლები, გაეცნონ ქვეყნის კურორტებს და დააგემოვნონ ქართული ღვინო.

ფრანკფურტის გამოფენაზე „IMEX 2019“ მსოფლიოს 160-ზე მეტი ქვეყნიდან 3500-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს. დამთვალიერებელთა რაოდენობა კი დაახლოებით 15 ათასია.

სომხეთში, საქართველოს საელჩოში ქართველ მწერალს უმასპინძლეს

სომხეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გიორგი საგანელიძის ინიციატივით, საქართველოს საელჩოში გაიმართა ნინო სპანდერაშვილის წიგნის „ხელისგულიდან ხელისგულამდე“ პრეზენტაცია.

გიორგი საგანელიძემ ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა. მან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ისაუბრა. ასევე, ელჩმა წიგნის ავტორს მილოცვის წერილი და სიმბოლური საჩუქარი „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სომხეთის მწერალთა კავშირისა და სათვისტომო „ივერია“-ს წევრები, სომხეთის განათლების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნვერ ვირაბიანი, საელჩოს თანამშრომლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ღონისძიებაზე ასევე სიტყვით წარსდგენენ პრემიერ-მინისტრის აპარატის ეროვნული უმცირესობების და რელიგიის საკითხების განყოფილების წარმომადგენელი ნაირა გულიანი, სომხეთში ქართული სათვისტომოს „ივერიის“ პრეზიდენტი სვეტლანა ნამჩევაძე და თბილისელ სომეხთა კავშირის „თბილისელების კლუბის“ თავმჯდომარე ედუარდ ედიკისელოვი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7756; ევრო - 3.1001;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5153;
100 რუბლი - 4.3239; თურქული ლირა - 0.4559;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6326;
1000 სომხური დრამი - 5.7918.

ამინდი 24 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge